ივნისი 22 1996 წელი

# კავკასიონი

The KAVKASIONI © ყოველდღიური გაზეთი №109 (403) ფასი 40 თეთრი

# საქართველო კორუფციის გველეშაპის ულელქვეშ

## ვიდრე ხელისუფლების დერეფნები არ გაიწმინდება, პრეზიდენტს თავად მოუწევს ქუჩების სისუფთავეზე ზრუნვა

დღეს მსოფლიო ცივილიზაციაში ნებისმიერი ქვეყნის სტატუსი განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ რამდენად მოახერხებს იგი პოლიტიკურ-ეკონომიკური სტაბილურობის შენარჩუნებას და სახელმწიფოს განვითარების სამართლებრივი, პროგრესული პრინციპების დაცვას.

პოლიტიკური სტაბილურობის მიღწევა და შენარჩუნება შესაძლებელია როგორც დემოკრატიული, ისე ძალისმიერი-ტოტალიტარული მეთოდების გამოყენებით. ამ უკანასკნელის მაგალითისთვის შორს წასვლა ნამდვილად არ დაგვჭირდება. საბჭოთა კავშირის და აღმოსავლეთ ევროპის პოსტსოციალისტური ქვეყნების ისტორია სწორედ ამდაგვარი სტაბილურობის შესანიშნავი ილუსტრაციაა. ამ სახელმწიფოთა ხელისუფლება ძალადობის, თავისუფალი აზრის დათრგუნვის, დაშინების და პირდაპირი სამოქალაქო ტერორის საშუალებით ახერხებდა, ათწლეულების მანძილზე დაეცვა შიდასახელმწიფოებრივი სიმშვიდე. მაგრამ ამგვარი რეჟიმები შინაგანად დიდი საზოგადოებრივი ანტაგონიზმის მატარებელნი იყვნენ და მათი უმრავლესობა უმალ დაიმსხვრა, როგორც კი უზენაეს მმართველ კასტას ტოტალიტარული მმართველობისთვის აუცილებელი ძალა გამოელია და სოციალური აქტივობა გაიზარდა.

განსხვავებით ტოტალიტარულისგან, დემოკრატიულ-სამართლებრივი პრინციპით აგებული სახელმწიფოს მართვისას, საზოგადოება აღიარებს მხოლოდ კანონის უზენაესობას, ხოლო ხელისუფლების მხრიდან, ყოვლად გამორიცხულია არათუ საზოგადოებაზე, არამედ ცალკეულ მოქალაქეზე ძალადობის ან ტერორის დაშვებაც კი. ამდენად, დემოკრატიულ ქვეყნებში ძირითადი ბერკეტი სტაბილურობის შენარჩუნებისა, არის მმართველობის მაქსიმალური დემოკრატიზაცია და ხელისუფლების ფორმირებაში საზოგადოების ფართო მონაწილეობა. მარტივად რომ ვთქვათ, საზოგადოება თავად ანიჭებს უფლებამოსილებას იმ პირებს, ვინც ქმნის კანონებს, რომლის მიხედვითაც შემდგომში ისევ საზოგადოებამ უნდა იცხოვროს. ასეთი ქვეყნების მოსახლეობა ნაკლებპოლიტიზირებულია (თუმცა, პოლიტიკაში ღრმად ჩახედული) და ძირითადად, ენერგიას ეკონომიკურ-სამეურნეო საქმიანობაში აბანდებს, ხელისუფლებისგან კი მოითხოვს მთავარი პრინციპის განხორციელებას — ყოველ მოქალაქეს შეექმნას საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენის თანაბარი პირობები. აი, ამ პრინციპის ზუსტ დაცვაზეა დამოკიდებული დემოკრატიული ქვეყნების სოციალური და პოლიტიკურ-ეკონომიკური სტაბილურობა.

გაგრძელება მე 2 გვ




რუსეთი

## დიდ ომში ყოფილ მეგობრებსაც კვეთენ თავებს...



მათთვისაც კი, ვინც პოლიტიკით ნაკლებადაა დაინტერესებული, სენსაციური გამოდგა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ რუსეთის პრეზიდენტმა ბორის ელცინმა სამსახურიდან დაითხოვა თავისი გარემოცვის, პრაქტიკულად, ყველაზე ახლო ნევრები: მთავრობის პირველი ვიცეპრემიერი ოლეგ სოსკოვეცი, უშიშროების ფედერალური სამსახურის დირექტორი მიხეილ ბარსუკოვი და პრეზიდენტის დაცვის სამსახურის უფროსი (და პრეზიდენტის მეგობარი) ალექსანდრე კორჟაკოვი.

ბრძანებები მათი განთავისუფლების შესახებ გაიცა ელცინის წინასაარჩევნო კამპანიის წარმმართველი ორი ძირითადი პერსონის — არკადი ევსტაფევისა და სერგეი ლისოვსკის დაკავების შემდეგ. ისინი „შეიპყრეს" თეთრი სახლის შესასვლელთან, როგორც მიხეილ ბარსუკოვმა აღნიშნა, იმ მიზეზით, რომ თან ჰქონდათ დიდი რაოდენობით უცხოური ვალუტა.

იხილეთ მე 6 გვ.

## მექრთამეები გერმანიაშიც მომრავლდნენ

გერმანიის შინაგან საქმეთა და იუსტიციის მინისტრები შეხვდნენ ერთმანეთს, რათა განეხილათ ეკონომიკურ დანაშაულებათა გაზრდის მიზეზები და ქვეყანაში კორუფციის აყვავების ტენდენციები. მათ ასევე ისაუბრეს სახელმწიფო ქონების ძარცვის შემთხვევებზეც. შეხვედრაზე დაასახელეს ფამრავი ფაქტი, როდესაც ოფიციალური პირები ქრთამებს მიმღებლოვანი, საიდუმლო ინფორმაციების გაცემისთვის იღებდნენ.

როგორც გერმანიის ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები აცხადებენ, საგრძნობლად გამრავლდა პირადი ქონების ძარცვის ფაქტებიც. თუმცა, მათი აზრით, მთავრობა კონკრეტული ზომების მიღებას აგვიანებს, რაც ცოტა ხანში მოქალაქეთა უფლებების უხეშ შელახვასთან მიიყვანს ქვეყანას.

იფრინონ და იღუღუნონ

## თბილისის ახალი საჰაერო «კარიბჭე»

ბოლო ათწლეულის თბილისი მშენებლობებით დიდად განებივრებული არ იყო, ამიტომ ახალი აეროპორტის გახსნა ნგრევისა და სტაგნაციის პერიოდის დასრულებისა და აღმშენებლობის დაწყების სიმბოლოდაც შეიძლება მივიჩნიოთ. ქვეყნის ალქა მასში შესვლისთანავე იწყება და პირველი შთაბეჭდილება ხშირად ბოლომდე მიჰყვება ჩამოსულ სტუმარს. ძველი აეროპორტი ამ მხრივ ვერანაირ მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებდა, ამიტომაც, თანამედროვე სტანდარტების დონეზე რეკონსტრუირებული შენობა შეიძლება აღვიქვათ, როგორც ქვეყანაში ახალი ცხოვრების დაწყების სერიოზული განაცხადი.

„ყველაფერი ვიღონეთ რათა მგზავრებისთვის სრული კომფორტი შეგვექმნა", — თქვა საჰაერო დეპარტამენტის უფროსმა ზურაბ ჭანკვეტაძემ, ქალაქის მერმა ბადრი შოშიტაიშვილმა კი განაცხადა: „მერია ყველაფერს იღონებს, რომ მოეწყოს აეროპორტის მიმდებარე ტერიტორია, რათა ხიმშვიდის და სილამაზის სრული პირობები შეიქმნას".

„ეს არ არის ჩვეულებრივი მოვლენა, — თქვა ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ, — ეს არის ასეთი მასშტაბის პირველი საერთაშორისო პროექტი, რომელიც

გაგრძელება მე 3 გვ.

ფიქრისა და განსჯისთვის

## თავისუფლებით არათავისუფალი პრესა

### უკანონობის ვითარებაში

დღეს საქართველოს ნებისმიერი მოქალაქე იტყვის, რომ ჩვენს ქვეყანაში პრესა თავისუფალია. თუ ვინმე ამ საყოველთაოდ გავრცელებულ აზრს დაუპირისპირდება, მას აკვიატებული იდეების მქონედ გამოაცხადებენ და არც მის არგუმენტებს მიიჩნევენ სერიოზულად.

მიუხედავად ამისა, საქართველოში პრესა ბოლომდე ვერ ასრულებს თავის ფუნქციას, რაც საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდებასთან ერთად, პროცესებზე კონტროლს და საზოგადოებრივი აზრის ფორმირებას გულისხმობს. პრესის ჭეშმარიტ თავისუფლებას დასავლეთში ზოგიერთი ისეთი ფაქტორი განაპირობებს, რაც საქართველოში არ მოქმედებს.

არადა, დღეს, როდესაც ჩვენი სახელმწიფოებრიობა ყალიბდება; როდესაც პროცესებს ზიგზაგური ხასიათი აქვს; როდესაც ადამიანები სამკვდრო-სასიცოცხლოდ ზარალდებიან მავანის კორუმპირებულობით, უპასუხისმგებლობით, უგულისყურობით — პრესის როლი ყოველი დღის გათენებასთან ერთად იზრდება.

ქართული თავისუფალი პრესა სხვადასხვა ტიპის გაზეთებს მოიცავს — ზოგი უპირატესად ინფორმაციულია, ზოგი — უფრო ანალიტიკური: ერთი გაზეთი თუ დღის მეტ-ნაკლებად ამომწურავ ინფორმაციაზე აცხადებს პრეტენზიას, მეორეს მიმდინარე პროცესების სიღრმისეული ხედვის პრეტენზია აქვს. ზოგიერთი გაზეთი აგრესიულობით გამოირჩევა, ზოგიერთი — აკადემიური ტონით, ზოგი — „სიყვითლით".

ქართულ თავისუფალ პრესაში შეიმჩნევა ტენდენცია, რომ გაზეთი, უპირველეს ყოვლისა, ამა თუ იმ სახის ინფორმაციის წყარო უნდა იყოს და არა აფთიაქში გასაყიდი მალამო, რომელიც ზოგს ილუზიებით ნაკვებ ცნობიერებაზე წასაცხებად სჭირდება და ზოგს — გაცხელებული გულის გასაგრილებლად.

გაგრძელება მე—5 გვ

ადამიანის უფლებები

## კონსტიტუცია ორგვარად იკითხება?

გუშინ რესპუბლიკის პროკურატურაში სასჯელთა აღსრულებისას კანონიერების დაცვის განყოფილების უფროსმა აკაკი ბაქრაძემ და პროკურატურასა და შინაგან საქმეთა ორგანოებში გამოძიების კანონიერების დაცვაზე ზედამხედველობის სამმართველოს უფროსმა რამაზ ქლენტმა პრესკონფერენცია გამართეს, რომელიც საქართველოს კონსტიტუციით მიჩნეული ნორმის, წინასწარი პატიმრობის ცხრა თვის ვადის დარღვევა-არდარღვევის საკითხს შეეხო. როგორც ცნობილი გახდა, ადამიანის უფლებათა და ეროვნებათაშორის ურთიერთობების კომიტეტის თავმჯდომარემ ს.კავსაძემ პროკურატურას წარუდგინა წინასწარ პატიმრობაში მყოფი 110 კაცის სია, რომელთა მიმართ ირღვევა პატიმრობის ვადები.

მასპინძლებმა კატეგორიულად უარყვეს თუნდაც ერთი ამგვარი შემთხვევის არსებობა და განმარტეს, რომ კონსტიტუციით გათვალისწინებული 9 თვის ვადა მხოლოდ გამოძიების პროცესუალურ საკითხებს ითვალისწინებს. ვადის გადამეტების ილუზიას კი იძლევა საქმის გაცნობის პერიოდი, რომელიც მათივე თქმით, ამ 9 თვეში არ შედის და არც ერთი კანონით არ არის დადგენილი, საქმის გაცნობა კი შეიძლება გაგრძელდეს 5-6 თვე ან ერთი წელი, შეიძლება მეტი ხანიც. ამასთან დაკავშირებით ს.კავსაძემ სასამართლოს გარეშე პატიმრობის 9 თვის ვადის გადაცილებას უდანაშაულობის პრეზუმპციისა და საქართველოს კონსტიტუციის დარღვევა უწოდა. მანვე აღნიშნა, რომ მის მიერ წარდგენილი 110 კაცის სიის შესახებ პასუხი არ მიუღია.

იფრინდა

### ევროპის ჩემპიონატის სიმბოლური ნაკრები პირველი ეტაპის შემდეგ

(„კავკასიონის" ვერსია)




პირველი ეტაპის მიმოხილვა იხ. მე—6 გვ.

# საქართველო კორუფციის გველეშაპის უღელქვეშ

## ვიდრე ხელისუფლების დერეფნები არ გაიწმინდება, პრეზიდენტს თავად მოუწევს ქუჩების სისუფთავეზე ზრუნვა

პირველი გვერდიდან

საბჭოური გულაგიდან თავის დაღწევისა და დამოუკიდებლობის დეკლარირების შემდეგ, საქართველომ განვითარების სწორედ, ბოლოსაღწერილი გზა აირჩია (ყოველ შემთხვევაში, დეკლარაციულად მაინც). რასაკვირველია, ათწლეულების მანძილზე ტოტალიტარულ მართვას შეგუებულ ადამიანთა უდიდეს ნაწილს, უკეთეს შემთხვევაში, მხოლოდ თეორიულად თუ ჰქონდა გაცნობიერებული საკუთარი დემოკრატიული უფლებები და უნდა ვაღიაროთ, რომ თეორიულადაც კი, წარმოდგენა არ ჰქონდა (მცირე გამონაკლისის გარდა) საკუთარ მოქალაქეობრივ მოვალეობა-ვალდებულებებზე საზოგადოებისა და ქვეყნის წინაშე. სწორედ ეს იყო მიზეზი იმისა, რომ ჩვენში ყველას თავისი დემოკრატია და ყველას თავისი სიმართლე გააჩნდა. უმეტეს შემთხვევაში ადამიანის უფლებანი და თავისუფლებანი გავაიგივეთ პრინციპთან — რასაც მინდა, იმას ვიზამ და, საერთოდ, მივივიწყეთ ჩვენი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა. ამიტომ იყო, რომ კანონი — ჭეშმარიტი დემოკრატიის საძირკვლის ქვა — მედროვეთა საჯილდაო ქვად იქცა.

დღეს ვითარება იცვლება — თანდათანობით, მძიმედ და გაჭირვებით, მაგრამ მაინც უკეთესობისკენ იცვლება. საქართველოში მოქმედებს სრულფასოვანი შიდაკონვერტირებადი ვალუტა, რომელიც აღარ ექვემდებარება უმართავ სტიქიურ ბაზარს და ამდენად, მისი კურსის ცვლილება პროგნოზირებადია; მართალია, შავ-თეთრი შუქჩრდილებით, მაგრამ წინ მიიწევს პრივატიზაციის პროცესი; ძალზე ნელა, ჯერჯერობით, სულ რაღაც მეათედი პროცენტებით, მაგრამ მაინც ცოცხლდება წარმოება და ბიზნესი; დღითიდღე ფართოვდება კონტაქტები დასავლეთის საქმიან წრეებთან. პურზე — უპირველეს სასიცოცხლო პროდუქტზე — ფასების ლიბერალიზაციით კი, საქართველომ საბოლოოდ გააკეთა განაცხადი, რომ უკან აღარ მოიხედავს.

თვით ყველაზე სკეპტიკოსებიც კი, თუ რაიმე ქვენა აზრს არ ემორჩილებიან, აღიარებენ, რომ უკანასკნელი 6-7 თვის მანძილზე შეუდარებლად გაუმჯობესდა კრიმინოგენული ვითარება; დიდი გაჭირვებით, შეზღუდული მატერიალური შესაძლებლობებით, მაგრამ მაინც ყალიბდება შეიარაღებული ძალები, ჯარი ჯარს ემსგავსება. მარტო ის რად ღირს, რომ დაიძლია სამხედრო სფეროში არსებული სრული ქაოსი და ყველა ე.წ. შეიარაღებული ფორმირება ერთიან სტრუქტურაში გაერთიანდა.

პოლიტიკური თვალსაზრისით, რაც არ უნდა კრიტიკული თვალით ეცადონ მავანნი სიტუაციის შეფასებას, მნიშვნელოვნად წავიწიეთ წინ. ქვეყანამ მიიღო კონსტიტუცია, რითაც შეიქმნა არა მხოლოდ შიდასახელმწიფოებრივი სტაბილურობის საფუძველი, არამედ გარკვეული ვალდებულებებიც ავიღეთ კაცობრიობის წინაშე. აუცილებლად უნდა აღინიშნოს ერთიც: გასული წლის ნოემბერში, საპარლამენტო არჩევნების დროს, პირველად გადაიდგა ნაბიჯი ქვეყანაში პოლიტიკური დაქსაქსულობისა და სიჭრელის წინააღმდეგ და, რაც მთავარია, ეს ნაბიჯი აბსოლუტურად შეესაბამებოდა დემოკრატიული განვითარების პრინციპებს. იგულისხმება არჩევნებში მონაწილე პარტიებისთვის 5-პროცენტიანი ბარიერის დაწესება, რამაც უფრო დანმენდილი და რაფინირებული გახადა მანამდე არსებული პოლიტიკური კოქტეილი. არასაკმარისი ელექტორატის, ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, სოციალური საყრდენის არმქონე პარტიები ხელისუფლებაში მონაწილეობას შეელივნენ, სამაგიეროდ, მკაფიოდ ჩამოყალიბდნენ ოპოზიციური და მმართველი ძალები. ამდენად, პოლიტიკურმა სურათმა კომპოზიციურად დასრულებული სახე მიიღო და მოვლენათა განვითარებაც პროგნოზირებადი გახდა.

ერთი სიტყვით, საქართველო წინ მიიწევს და უკიდურესად რთულ, მძიმე პირობებში ცდილობს, შექმნას სახელმწიფოებრივი სტაბილურობის საფუძვლები, დაამკვიდროს საზოგადოებრივი ყოფის ცივილიზებული წესები, მაგრამ ეს წინსვლა გაცილებით უფრო სწრაფი და მძლავრი იქნებოდა, რომ არა ერთი უმძიმესი, დღემდე დაუძლეველ ბარიერად ქცეული პრობლემა.



ოდნავ დაკვირვებული ადამიანიც კი ადვილად შენიშნავს, რომ სახელმწიფოებრივი განვითარების გენერალური კურსი და ქვეყნის ყოველდღიური მაჯისცემა კარგა გვარიანადაა ერთმანეთს აცდენილი, ანუ იგეგმება სტრატეგიული განვითარების ორიენტირი — სწორი, მართებული, მკაფიო, მაგრამ მისი დამნახავი და მისკენ წამსვლელი თუ გამოჩნდა, დიდი ბედნიერებაა. უფრო მეტიც, არცთუ იშვიათად ხდება, რომ ის, ვისთვისაც ეს ორიენტირია დასახული, არათუ თავად აპირებს მისკენ სვლას, არამედ საზოგადოებასაც თვალში ნაცარს აყრის და ცდილობს, სრულიად საპირისპირო მხარეს გაახედოს. სამწუხაროდ, ასეთ ადამიანთა, უფრო ზუსტად კი, გარკვეული ძალაუფლების მპყრობ გვამთა „დეფიციტი“ სახურველზე ნაკლებად იგრძნობა.

ზემოთქმულის საილუსტრაციოდ, ყველაზე უფრო ნათელი მაგალითია, საქართველოში მეწარმეთა მდგომარეობა. სახელმწიფოს გენერალური კურსით, პრიორიტეტულად უნდა შეეწყოს ხელი მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას, სამამულო წარმოებას, პროდუქციის კონკურენტუნარიანობის გაზრდას. მაგრამ რა ხდება რეალურად?

მცირე და საშუალო ბიზნესი საქართველოში სულს ღაფავს. ვერა და ვერ მოხერხდა ოპტიმალური საგადასახადო სისტემის ჩამოყალიბება, ვერ შეიქმნა შინაური ბაზრის დაცვის მექანიზმები. თუ ეკონომიკის სამინისტრო მეწარმეთათვის ვალების გადავადებას მოითხოვს, ფინანსთა სამინისტრო ამის კატეგორიული წინააღმდეგია. საერთოდ კი, დღეს არცერთ სამინისტროს არ შეუძლია წარმოაჩინოს სრული სურათი, თუ რა ხდება მცირე და საშუალო ბიზნესში, რა ღონისძიებებია საჭირო ამ სფეროს ასამოქმედებლად. ბუნებრივია, რომ პრეზიდენტი უკმაყოფილოა: „უკმარისობის გრძნობა გამიჩნდა, თქვენს გამოსვლას სიღრმე აკლია. მოვითხოვ, წარმოადგინოთ სერიოზული ანგარიში, რა ხდება კერძო ბიზნესში“ (19 ივნისის თათბირზე გამოსვლიდან). პრეზიდენტი მოითხოვს, რადგან ასეთია სახელმწიფოს განვითარების გენერალური კურსი, მაგრამ თავს ნებას მივცემთ და ვიტყვით: საეჭვოა, რომ სრულყოფილად დაკმაყოფილდეს მისი მოთხოვნა, რადგან: ჯერ ერთი — კონტროლის სისტემისგან დამფრთხალი მეწარმეები, განსაკუთრებით, მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლები, ემალებიან სახელმწიფოს და შეუძლებელია ობიექტური სურათის წარმოდგენა;

მეორე და მთავარი — იქმნება შთაბეჭდილება, რომ საქართველოში დღეს ზოგიერთ მმართველ სამეურნეო რგოლში მოკალათდნენ ძალები, რომლებიც შეგნებულად აფერხებენ კერძო მეწარმეობის განვითარებას. როგორც ჩანს, ეს ადამიანები კვლავაც ძველი ინერციით აპირებენ ცხოვრებას — ალბათ, კარგად გვახსოვს, ახლო წარსულში რა თბილად და მყუდროდ გრძნობდნენ თავს ვინ იცის, რა გზებით დაწინაურებული ფუნქციონერები, რომელთა შრომის მთავარ იარაღს უჯრის სახელური წარმოადგენდა — გამოწევდნენ, დახურავდნენ და უჯრაც „ჯადოსნურად“ ივსებოდა „წითელი კუპიურებით“ გაძეძგილი კონვერტებით. ამ ადამიანთათვის გამდიდრების საშუალება იყო თანამდებობა და არა საქმე. დღეს, ბუნებრივია, ისინი ვერ იტანენ საქმიან, ენერგიულ, თუ გნებავთ, მოხერხებულ ადამიანებს, რადგან მათი კლასის ჩამოყალიბება გადაშენებას უქადის სავარძლებში მოკალათებულ კორუმპირებულ მონსტრებს, რომლებიც მეტასტაზებივით არიან მოდებულნი თითქმის ყველა სფეროს, ყველა უწყებას.

გადაჭრით უნდა ითქვას, თუკი რაიმე აფერხებს დღეს ქვეყნის წინსვლას, პირველი და მთავარი კორუფციაა. სავალალოა, რომ საზოგადოებაში დღეს ისევ და ისევ სავარძლიანი სუბიექტი უფროა კოტირებული, ვიდრე საქმიანი ადამიანი. ეს კი უთუოდ დალუპავს ქვეყანას, რადგან მექრთამე ყოველთვის მედროვეა, ნაკლებად აინტერესებს, რა იქნება ხვალ, მთავარია, დღეს მიითვისოს რაც შეიძლება ბევრი. ასეთი ადამიანისთვის, რა თქმა უნდა, აბსოლუტურად უცხოა, ანდა სულაც მტრული ცნებაა პერსპექტივა, მომავალი, განვითარება და, რასაკვირველია, იგი გადაულახავ ციტადელად იქცევა ინიციატივიანი, მომავლის მჭვრეტელი კაცისთვის.

სავალალოა ისიც, რომ მექრთამეების „გული გულს იცნობს და ლონე-ლონეს“, თანაც, როგორც უკვე ვთქვით, ამ სიმსივნის მეტასტაზები ყველგანაა მოდებული, ამიტომ სხვადასხვა სფეროს კორუმპირებული წრეები სწრაფად პოულობენ საერთო ენას (ახლა მათ თვითგადარჩენის ინსტინქტიც უფრო მეტად კრავთ) და ადვილად ახერხებენ კანონსმიღმა დარჩენასაც. აქედან გამომდინარე კი, ერთი მხრივ, წარმოიქმნება ნათესაობისა და ახლობლობის ნიშნით ბეჭდილი ყოვლისშემძლეობის შეგრძნება, მეორე მხრივ — ამის შემყურე საზოგადოებას უჩნდება სრული განუკითხაობის სინდრომი, იბადება ნიჰილიზმი და მომავლისადმი უნდობლობა.

ამიტომ, კიდევ ერთხელ ვუსვამთ ხაზს: თუ არ დაემხო და გაიქელა კორუფციის გველეშაპი (გერმანიის პრეზიდენტის მიერ წარმოთქმული სიტყვების პერიფრაზია), ძალზე გაჭიანურდება იმ ადამიანთა ასპარეზზე გამოსვლა, ვისაც გაცნობიერებული აქვს ქვეყნის სტრატეგიული განვითარების არსი და გულიც ერჩის მაღალი ამოცანებისა და მიზნების ხორცშესასხმელად. ამ ადამიანების გარეშე კი, დემოკრატიული, სამართლებრივი, თავისუფალი სახელმწიფოს აშენება — ჩვენი ქვეყნის განვითარების სტრატეგიული მიზნის განხორციელება — უკეთეს შემთხვევაში, კარგ თეორიულ მეცადინეობად დარჩება.

შესაძლოა გადარჩენის ინსტინქტებით, სპონტანურად, მაგრამ ხალხი ნელ-ნელა ეუფლება დამოუკიდებლად თავის რჩენის ხელოვნებას. ათწლეულების მანძილზე მთავრობის ხელში შემყურე ადამიანებმა, მეტ-ნაკლები წარმატებით, ალღო აუღეს ახალ ვითარებას, მაგრამ საერთო სოციალური ფონი მანამდე დარჩება მძიმე, ვიდრე სარჩო-საბადებლის საშოვარზე გამოსული კაცი მთლიანად არ მოექცევა კანონის ჩარჩოში და თავადაც არ გაუჩნდება იმის აბსოლუტური განცდა, რომ მას კანონი იცავს. ამის მიღწევა კი მხოლოდ მაშინ გახდება შესაძლებელი, როცა ყველა თავის საქმეს გააკეთებს და ყველა თავის ადგილს იპოვის, როცა დაეხსნება ქვეყანას პრივილეგირებულ-კორუმპირებულთა კასტა, რომლის ხელშიც ყოველი კეთილი ძალისხმევა იმთავითვე განწირულია.

იმის იმედად ყოფნა, რომ მექრთამეთა იდეურ-პოლიტიკურ დონე მაღლდება და ისინი თავის საქმიანობას მიატოვებენ, არ შეიძლება. იმის დიდი გამოცდილება არსებობს, რომ მხოლოდ რეპრესიული მეთოდებით კორუფციასთან ბრძოლას შედეგი არ მოაქვს. როგორ დაუნდობლადაც არ უნდა ვაყრევინოთ თავები კორუფციის გველშაპს, მათ ადგილზე სასწრაფოდ ამოიზრდებიან ახლები. თუ არ ამოშრა ჭაობი, რომელიც ბადებს უკანონობას და არ შეიქმნა ჯანსაღი სისტემა, სადაც ქრთამი ანომალიური მოვლენა გახდება, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა სიზიფეს შრომად გადაიქცევა, უფრო მეტიც — ცალკეულ მექრთამეებთან ბრძოლა თავისთავად უწყობს ხელს კორუფციის აყვავებას სამართალდამცავ ორგანოებში.

ბიზნესი, მეწარმეობა არის ერთი მნიშვნელოვანი სფერო, საიდანც კორუფცია საზრდოობს, მაგრამ არა იმიტომ, რომ მეწარმეები არიან მონოდებულნი კანონის დასარღვევად. არსებული კანონმდებლობა — საგადასახადო, საბაჟო და კიდევ უამრავი კანონი თუ წესი, თითქოს იმისთვის არის შექმნილი, რომ მეწარმეს თავისუფალი საქმიანობის საშუალება მოუსპოს და აუცილებლად აქციოს კანონდამრღვევად, რაც მას ჩინოვნიკის საკბილოდ აქცევს. მეწარმეთა გათავისუფლება ჩინოვნიკთა მიერ მოქსოვილი ქსელისგან, ერთი მხრივ, ხელს შეუწყობს მათ გაძლიერებას, წარმოების ზრდას, ადამიანთა დასაქმებას, მეორე მხრივ, ბიუჯეტისკენ მიმართავს მნიშვნელოვან თანხებს, რომელიც ამჟამად მავანთა ჯიბეში ხვდება. ცხადია, ამას ყოველმხრივ შეებრძოლებიან ჩინოვნიკები, რომელნიც საზოგადოებას არწმუნებენ, რომ ოცი ლარი ხელფასით ირჩენენ თავს და სინამდვილეში ტკიპასავით წოვენ სისხლს ქვეყანას.

სახელმწიფომ თავისუფალი საბაზრო ურთიერთობების გზა აირჩია და მნიშვნელოვანი წინსვლაც იგრძნობა, მაგრამ თუ კორუფციას არ მოევლო, სამუდამოდ შევრჩებით სოციალიზმის და კაპიტალიზმს შორის მერჩზე. საბაზრო ეკონომიკა, კაპიტალიზმი თავისთავად გულისხმობს, რომ მეწარმეობა და ბიზნესმენები მაქსიმალური ხელშეწყობით უნდა სარგებლობდნენ. კაპიტალისტური ქვეყნის მამოძრავებელ ძალას საქმიანი ადამიანები წარმოადგენენ, მათი ძალისხმევით არის დაგროვებული ცივილიზებულ ქვეყნებში ის დოვლათი, თვალს რომ გვჭრის; მათ მიერ გადახდილი გადასახადებით ინახავენ ჯარს, პოლიციას და ქმნიან სოციალური დაცვის მექანიზმს. ამ გადასახადებიდანვე უხდიან ხელფასებს ჩინოვნიკებს, რომელნიც სახელმწიფოს მართვას ახორციელებენ. ჩვენთან კი, ფაქტობრივად, მივექანებით ჩინოვნიკების დიქტატურისკენ, როცა ეს უკანასკნელნი არა მხოლოდ ბიუჯეტს ახრამუნებენ, არამედ მასში შესასვლელ თანხებსაც იჯიბავენ. ისინი სისხლხორციელად არიან დაინტერესებულნი, რომ ბიზნესის სადავეები მათ ეპყრათ ხელთ, ხოლო თუ რა შედეგი მოჰყვება იმას, როცა საქმის გამკეთებელ ადამიანს კისერზე „ოცლარიანი“ ჩინოვნიკი აზის, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რა შედეგი მოჰყვება ამას. ამიტომაც არის შექმნილი ვითარება, რომ ერთი აგურის დადების უფლების მისაღებად ასი ინსტანცია მაინც უნდა მოიქრთამოს.

საქართველოში სახელმწიფოსთვის მოპარული თუ ქრთამის სახით აღებული უზარმაზარი კაპიტალი მოძრაობს, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი იხარჯება არსებული ძალაუფლების შესანარჩუნებლად, ხელისუფლებაში ლობის ჩამოსაყალიბებლად და სასურველი პოლიტიკური ატმოსფეროს შესაქმნელად. სიტუაციას პარადოქსულად და ტრაგიკომიკურად აქცევს ისიც, რომ ქართველი ბიზნესმენები იძულებულნი არიან, დააფინანსონ და გააძლიერონ პარაზიტული ფენა, რომელიც სწორედ მათ ხარჯზე, მათი სისხლით არსებობს.

დღევანდელობის უმნიშვნელოვანესი ამოცანა სწორედ ამ სენის მკურნალობაა.

მაშინ შეექმნება ყოველ მოქალაქეს საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენის თანაბარი შესაძლებლობა და მისი კეთილდღეობაც მხოლოდ უნარზე, ნიჭზე და ენერგიაზე იქნება დამოკიდებული.

და აღარც ქვეყნის პრეზიდენტს მოუწევს ეკონომიკური პრობლემებისადმი მიძღვნილ თათბირზე დედაქალაქის ქუჩების სანიტარულ მდგომარეობაზე მსჯელობა (სისუფთავე აუცილებელია, მაგრამ როცა მის დამყარებაზე ზრუნვა პრეზიდენტს უხდება, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, სირცხვილია და იმაზე მიუთითებს, რომ ქუჩაში არსებული სიბინძურის სათავე კომფორტულ კაბინეტებშია საძებნი. ჩინოვნიკებს აღარ სცალიათ მათზე დაკისრებული მოვალეობის შესრულებისთვის), რადგან სახელმწიფოს მშენებლობის ყოველდღიური მაჯისცემა, ყოველი მოქალაქის ცხოვრების რიტმად იქცევა.

პაატა ვეშაპიძე
ვასილ მაღლაფერიძე

რეფორმა

# პირველი სახელმწიფო საინვესტიციო პროგრამა

მაკროეკონომიკური სტაბილიზაცია საქართველოში უკვე მომხდარი ფაქტია, რამაც განაპირობა სახელმწიფოს საინვესტიციო პროგრამის შექმნა. მოცემული დოკუმენტი აღწერს მთავრობისა და დონორთა მიერ დაფინანსებულ მიმდინარე პროგრამებს და წარმოადგენს წინადადებებს ახალი პროექტების შესახებ, რომლებიც საჭიროებენ დაფინანსებას. პროგრამა, ძირითადად, ქართული მხარის ძალისხმევით მომზადდა, რაც მეტყველებს იმაზე, რომ ჩვენი ქვეყნის ცალკეულმა მმართველობითმა რგოლებმა აუცილებელი გამოცდილება შეიძინეს და საერთაშორისო სტანდარტების დონეზე ისწავლეს მუშაობა. მადლობა ეკუთვნით, აგრეთვე, ტასისის ევროპის საექსპერტო სამსახურს, გაეროს განვითარების პროგრამას და მსოფლიო ბანკს, რომელთაც ერთობლივად გაუწიეს საქართველოს მთავრობას დახმარება ამ დოკუმენტის მოსამზადებლად.

სახელმწიფო საინვესტიციო პროგრამა არის პოლიტიკური განაცხადი, რომელიც ასახავს საქართველოში დანერგილი რეფორმების პრინციპებს. მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის გარეშე სახელმწიფო საინვესტიციო პროგრამების ფინანსირება უცხოელი დონორების მხრიდან არც კი იქნებოდა განხილული. ამასთან, მაკროეკონომიკური სტაბილიზაცია სტიმულს აძლევს ადგილობრივ მეწარმეებს, მოახდინონ ინვესტიციები საწარმოო საქმიანობაში. ისევე აშკარაა, რომ უცხოელი ინვესტორები სერიოზულად დაინტერესდნენ საქართველოში არსებული ეკონომიკური შესაძლებლობებით.

გუშინწინ პრეზიდენტის თანაშემწემ თემურ ბასილიამ თბილისის ბიზნესცენტრ „მთაწმინდაში" 29 მაისს პარიზში გამართული დონორთა საკონსულტაციო ჯგუფის შეხვედრის შედეგების განხილვაზე მიიწვია საქართველოში აკრედიტებული ელჩები, დონორი ქვეყნების წარმომადგენლები, საქართველოს მთავრობის წევრები, უცხოელი და ქართველი ჟურნალისტები. შეხვედრას დაესწრო სახელმწიფო მინისტრი ნიკო ლეკიშვილი, მან პროგრამის მიღება მიულოცა დამსწრე საზოგადოებას, პირადად თემურ ბასილიას და აღნიშნა, რომ ეს არის ჩვენი სახელმწიფოს განვითარების მნიშვნელოვანი ეტაპი, რაც უეჭველად ეკონომიკური აღმავლობის საწინდარი გახდება. დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა თემურ ბასილიამ, რომელიც პროგრამის ერთი ავტორია და დიდი წვლილი მიუძღვის მის შემუშავებაში. გთავაზობთ მისი გამოსვლის ტექსტს:

დიდ მადლობას გიხდით მობრძანებისთვის. როგორც მოგეხსენებათ, მომზადდა პირველი სახელმწიფო საინვესტიციო პროგრამა, რომელიც განხილული და მოწონებული იქნა პრეზიდენტთან არსებული ეკონომიკური საბჭოს მიერ. აღნიშნული პროგრამა საქართველოს მთავრობის მიერ წარდგენილ იქნა დონორთა გაერთიანების წინაშე პარიზში გამართულ შეხვედრაზე. ჩვენდა სასიხარულოდ, პროგრამამ მათი დიდი მხარდაჭერა პოვა. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ყველა იმ საერთაშორისო ორგანიზაციას და დონორ ქვეყანას, რომლებიც აქ არიან წარმოდგენილნი იმ დიდი დახმარებისთვის, რომელსაც ისინი გვიწევენ ქვეყანაში ეკონომიკური რეფორმების განხორციელებაში და თვით ამ დოკუმენტის მომზადებაში. აქ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს მსოფლიო ბანკის როლი, რომელმაც განსაკუთრებული წვლილი შეიტანა სახელმწიფო საინვესტიციო კონცეფციის შემუშავებაში, მომავალი ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული და პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრაში.

აქ წარმოდგენილი ორივე დოკუმენტი განსაკუთრებული მნიშვნელობისაა და მათზე მუშაობა არის განგრძობითი პროცესი, რაშიც ჩვენ კვლავაც დაგვჭირდება საერთაშორისო ეკონომიკური და ფინანსური ორგანიზაციების, დონორი ქვეყნების მხარდაჭერა.

საქართველოს სახელმწიფო საინვესტიციო პროგრამა, უპირველეს ყოვლისა, წარმოადგენს დოკუმენტს, რომელშიც ასახულია სარეფორმო სტრატეგია ყველა სექტორისთვის. ხოლო მეორე დოკუმენტი „დონორთა საქმიანობა საქართველოში" იძლევა სრულ ინფორმაციას საქართველოში დონორთა საქმიანობის შესახებ.

საერთაშორისო ეკონომიკურ ორგანიზაციებთან ურთიერთობის სააგენტოსთან ჩამოყალიბებული პროექტების მოსამზადებელი სამსახური თქვენი დახმარებითა და მხარდაჭერით შექმნილი მონაცემთა ბაზის საფუძველზე წელიწადში ოთხჯერ განაახლებს ამ დოკუმენტს.

ნება მომეცით, კიდევ ერთხელ მოგესალმოთ და მადლობა გითხრათ მობრძანებისთვის. ამასთან, გამოვთქვა სურვილი და რწმენა, რომ ასეთი შეხვედრები გახდება ტრადიციული, რაც, ჩვენი აზრით, ხელს შეუწყობს ჩვენი ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავებასა და განვითარებას.

ისევ „თურქული უნივერსიტეტის" შესახებ

# ცრუპენტელა «განმანათლებელი»

ფირმა „ჩალლარის" პრეზიდენტმა, საქართველოში თურქული უნივერსიტეტის დამაარსებელმა და ინიციატორმა ჰაიათი ქუჩუქმა 19 ივნისს პრესკონფერენცია გამართა. „ქართულ პრესასთან პოლემიკის გამართვა, ჩვენს პოზიციას არ შეესაბამებოდა, მაგრამ მასში გავრცელებულმა უსაფუძვლო ბრალდებებმა იძულებული გაგვხადა, ამ გზას დავდგომოდით".

„ეს არის შავი ზღვის აუზის სახელობის უნივერსიტეტი და შავი ზღვის აუზის ქვეყანათა ასამბლეას მასთან არავითარი კავშირი არ გააჩნია, როგორც ეს ბევრს ჰგონია" (გაზეთი „რეზონანსი", 20 ივნისი). „ჩემი ერთადერთი სურვილია, განათლების სფეროში ვიმოღვაწეო და საქართველოში თანამედროვე სისტემები დავნერგოთ (გაზეთი „ალია", 20-21 ივნისი). ეს გამონათქვამები ჰაიათი ქუჩუქს ეკუთვნის, მაგრამ სიმართლისგან ისინი საკმაოდ შორს დგას.

ჯერ ერთი, როცა უნივერსიტეტის გახსნის შესახებ ლაპარაკი ახალი დაწყებული იყო, ჰაიათი ქუჩუქი სწერდა ედუარდ შევარდნაძეს: „უმაღლეს დონეზე იქნა გადაწყვეტილი თბილისში „ბისეკის" საერთაშორისო უნივერსიტეტის შექმნის შესახებ". თუკი ორი წლის წინ ჰაიათი ქუჩუქი „ბისეკის" უნივერსიტეტზე ლაპარაკობდა, დღეს გვეუბნება, შეცდომით გგონიათ ასე, სინამდვილეში იგი მხოლოდ „შავი ზღვის აუზის" სახელობის უნივერსიტეტიაო. გამოდის, რომ ბატონი ჰაიათი მაშინ სახელმწიფოს მეთაურის მოტყუებას ცდილობდა და ახლა კი მთელ საზოგადოებას აყრის თვალში ნაცარს. ამ საქციელს, სიცრუის გარდა, ვერაფერს უწოდებს ადამიანი. როცა ვინმე ასე ხელაღებით ცდილობს ტყუილით გაიტანოს თავისი საქმე, მისი ნდობა არ შეიძლება და არც მის მიერ დანერგილი „განათლების თანამედროვე სისტემა" სჭირდება ვინმეს.

ჰაიათი ქუჩუქი რომ საქართველოში ჩამოსვლის დღიდან სიცრუით ცდილობდა გზის გაკაფვას, ეს ჩვენ ადრეც დავწერეთ და მისი ნაცნობებიც ამტკიცებენ. სწორედ ამის გამო გაექცა „ქართულ პრესასთან პოლემიკას" ჩალლარის პრეზიდენტი". უფრო მეტიც: ჩვენ ორჯერ ვიყავით მისული ბატონ ჰაიათისთან, მაგრამ მან უარი გვითხრა ინფორმაციის გაცემაზე და ჩვენს მიერ დასმულ ვერც ერთ კითხვას პასუხი ვერ გასცა.

როდესაც ჰაიათი ქუჩუქი უსაფუძვლოს უწოდებს ქართულ პრესაში გამოთქმულ ბრალდებებს, მან უნდა დაასაბუთოს თავისი პოზიცია. კამათი თურქული უნივერსიტეტის შესახებ ნახევარ წელზე მეტია მიმდინარეობს. ამ დავამ მთელი ქართული საზოგადოება მოიცვა, ფირმა „მარსის" და „ჩალლარის" წარმომადგენლებს კი ამ ხნის განმავლობაში არც ერთხელ არ უცდიათ თავიანთი პოზიციის დაფიქსირება. არადა, თუკი ასე ზრუნავენ ქართული განათლების სისტემაზე, ქართველი ხალხის აზრს მეტი ყურადღებით უნდა მოეკიდონ.

ქართული მასმედია არ არის საზოგადოებისგან მოწყვეტილი და მან ზუსტად აირეკლა ხალხის დამოკიდებულება „თურქული უნივერსიტეტისა" და მისი დაარსების ინიციატორებისადმი. ორი ფირმა და მათი მხარდამჭერი რამდენიმე ქართველი დაჟინებით ცდილობენ საზოგადოების ნების უგულებელყოფას და სურთ პრობლემა ქართულ-თურქული ურთიერთობის დონეზე გადაიტანონ. ისინი ამ მიზნის მისაღწევად ხშირად მანიპულირებენ ორი ქვეყნის უმაღლეს ხელისუფალთა სახელებით. არადა, პრობლემა ბევრად მარტივია: ადამიანი, რომელიც არ ერიდება სიცრუეს არც ოფიციალურ და არც პირად ურთიერთობებში, არ შეიძლება ქართულ განათლებაში „თანამედროვე სისტემების" დანერგვის პრეტენზიით გამოდიოდეს. სწორედ ამიტომ არ სურს ქართულ საზოგადოებას „ბაზალეთის უნივერსიტეტი" და არა იმის გამო, თითქოს, განათლების მნიშვნელობა არ ესმოდეს.

სოზარ სუბელიანი

იფრინონ და იღუღუნონ

# თბილისის ახალი საჰაერო «კარიბჭე»

პირველი გვერდიდან

თერთმეტი თვის განმავლობაში განხორციელდა. ეს იყო სასინჯი ქვა, რომელმაც ცხადყო, რომ საქართველოში შეიძლება აშენდეს თანამედროვე ობიექტები. ევროპისა და მსოფლიოს მსხვილმა ფინანსურმა ცენტრებმა ნდობა გამოუცხადეს ჩვენს ქვეყანას. აწი უნდა მოვუაროთ იმას, რაც ავაშენეთ".

აეროპორტის რეკონსტრუქციის იდეა 1993 წელს გაჩნდა. ერთი შეხედვით, დაუჯერებელიც კი ჩანს, რომ ასე მოკლე ხანში შესაძლებელი გახდა შენობის თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად მოწყობა. როგორც აეროპორტის გენერალურმა დირექტორმა ვალერი ქაძანაიამ განაცხადა, ახალი აეროპორტი საავიაციო ფრენების საერთაშორისო კომიტეტის ყველა მოთხოვნას აკმაყოფილებს. ამაში ძალიან დიდია პროექტის ავტორის, ირლანდიური ფირმა „აი-ბი-ემ"-ის დამსახურება, რომელმაც მთელი პასუხისმგებლობა თავის თავზე აიღო. „ჩვენ არ ვიცოდით, თუ როგორ ხდება ევრობანკიდან ფულის გამოყოფა, — თქვა ვალერი ქაძანაიამ. — ფირმამ მოამზადა ყველა საბუთი და ექვს თვეში ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკისგან კრედიტი მიიღო, მაშინ, როცა სხვა დროს მსგავსი კრედიტის გამოყოფას წელიწადნახევარი — ორი წელი სჭირდება".

აეროპორტის რეკონსტრუქცია ცამეტი მილიონი დოლარი დაჯდა. აქედან, ევრობანკის კრედიტი თერთმეტ მილიონს შეადგენდა, საქართველოს რეაბილიტაციის ფონდიდან მილიონ შვიდასი ათასი დოლარი გამოიყო, თვითონ აეროპორტმა კი საკუთარი მოგებიდან ხუთასი ათასი დოლარი გადაიხადა. ევრობანკის კრედიტის გამოყოფას ხელი მოეწერა გასული წლის 13 ივლისს და, თვით ბანკის პრეზიდენტის გასაკვირადაც, იმ დღესვე ერთი მილიონი უკვე მშენებლებს გადაერიცხათ.

შენობა ტექნიკურად მსოფლიო დონის მოთხოვნებს აკმაყოფილებს, მაგრამ თანამედროვე სერვისი შესაბამის კადრებსაც მოითხოვს.

„ყველა კადრი გადახალისდა, — თქვა ვალერი ქაძანაიამ, — კონტრაქტში შედიოდა მათი შერჩევა და ტექნიკური მომზადება-გადამზადებაც. დიდი ყურადღება ექცეოდა უცხო ენებისა და კომპიუტერული ტექნიკის ათვისებას".

აეროპორტის განუყოფელი ნაწილია საბაჟო სამსახური. „ჩვენთან ძირეულად გადახალისდა კადრები, — თქვა ზურაბ ლებანიძემ, საბაჟოს უფროსის მოადგილემ. — მივიღეთ ახლები, ძირითადად, ახალგაზრდები, რომლებიც კარგად ფლობენ უცხო ენებს. იმედია, ისინი მალე გახდებიან პროფესიონალები და მსოფლიო სტანდარტის მებაჟეები გვეყოლება".

რაც შეეხება აეროპორტის მეორე შენობას, სათანადო რეკონსტრუქციის შემდეგ იგი სამთავრობო-საპრეზიდენტო სექტორის დაქვემდებარებაში გადავა და ხელისუფლების წარმომადგენლებს მოემსახურება.

„ვამაყობთ იმ დიდი პატივით, რომ შესაძლებლობა მოგვეცა თბილისის აეროპორტის რეკონსტრუქციაში მიგვეღო მონაწილეობა. დარწმუნებული ვარო, რომ საქართველოში უახლოეს წლებში გაიზრდება ტურისტებისა და ბიზნესმენების ნაკადი", — თქვა ფირმა „აი-ბი-ემ"-ის პრეზიდენტმა დეკლან ბროცკიმ.

„თბილისი სულ მალე სხვა ქალაქი იქნება — თანამედროვე სერვისითა და მისთვის დამახასიათებელი კოლორიტით", — ითქვა გახსნის ცერემონიალზე. აეროპორტის ძველ შენობაში არსებული სიტუაციის შემდეგ რეკონსტრუირებული ნაგებობის დათვალიერება იმედს ბადებს, რომ ამ სიტყვების აღსრულება არცთუ შორეული მომავლის საქმეა.

სოზარ სუბელიანი

მსოფლიო

## თანსუ ჩილერი ეჭვმიტანილიც კი პოლიტიკურად მომხიბვლელია



თურქეთში კვლავ წინა პლანზე გამოვიდა თანსუ ჩილერის ავტორიტეტის საკითხი. ისევ არსებობს ეჭვი, რომ იგი ჩაბმული იყო ფინანსურ მაქინაციებში, რაც ჩრდილს აყენებს მის პოლიტიკურ კარიერას.

ისლამისტები, ჯერჯერობით, ცივი გონებით უდგებიან ეჭემიტანილის მიმართ წაყენებულ ბრალდებას და აცხადებენ, რომ ვიდრე იგი გამოძიების შედეგებით არ დადასტურდება, არ აპირებენ ჩილერთან კოალიციის გაწყვეტას. თუმცა, ისლამისტთა ლიდერმა ნეჯმეთინ ერბაქანმა გააკეთა განცხადება, რომ ბრალდების დამტკიცების შემთხვევაში ჩილერი ავტომატურად დაკარგავს ნდობას და მასთან პოლიტიკური კავშირი გაუქმდება. პარლამენტი აწარმოებს საგამოძიებო სამუშაოებს და მასალების მოკვლევას.

ვიდრე პოლიტიკური მანევრები გრძელდება, ჩილერის დახმარებით ნეჯმეთინ ერბაქანი არ წყვეტს მუშაობას მთავრობის ახალი კაბინეტის ჩამოსაყალიბებლად.

## ბუტროს ღალი თანამდებობას ვერ შელევია

ამერიკის შეერთებული შტატები არ უჭერს მხარს გაეროს გენერალური მდივნის ბუტროს ღალის სურვილს, კიდევ ხუთი წლით დარჩეს თავის თანამდებობაზე. ორგანიზაციაში გასატარებელი აუცილებელი გარდა-



ქმნებისთვის, შეერთებული შტატები, ღალის ძალზე დელიკატურ ფიგურად მიიჩნევს. მისი აზრით, ამ თანამდებობისთვის უფრო მეტად შესაფერისია ირლანდიის პრეზიდენტი მერი რობინსონი. სავარაუდო კანდიდატად დასახელებულია ნორვეგიის პრემიერ-მინისტრიც.

შეგახსენებთ, რომ გენერალურ მდივანს, უშიშროების საბჭოს წარდგინების საფუძველზე, ირჩევს გაეროს ასამბლეა. უშიშროების საბჭოში კი წამყვანი პოზიციები აშშ-ს, დიდ ბრიტანეთს, საფრანგეთს, ჩინეთს და რუსეთს უჭირავთ. ვარაუდობენ, რომ რუსეთი, აშშ-გან განსხვავებით, წლის ბოლოსთვის დაგეგმილ კენჭისყრაში გაეროს დღევანდელ გენერალურ მდივანს დაუჭერს მხარს.

პრობლემა

# წლევანდელ რთველს ორი დიდი მისია აკისრია...

„ვაზი ქართველი ხალხის რწმენის სიმბოლოა. როცა ვაზი იჩეხებოდა, მაშინ ქვეყანა ინგრეოდა, როცა ვაზი ირგვებოდა, ქვეყანა შენდებოდა", — განაცხადა სოფლის მეურნეობის და სურსათის მინისტრმა გუშინ სახელმწიფო კანცელარიაში გამართულ თათბირზე, რომელზეც მევენახეობის და მეღვინეობის დარგში შექმნილ პრობლემებზე, სავალალო ვითარებიდან თავის დაღწევის გზებზე იმსჯელეს.

ბოლო წლებში მევენახეობის დარგისადმი ზერელე დამოკიდებულებამ, ბუნებრივია, თავისი უარყოფითი შედეგი გამოიღო, მაგრამ, როცა ქვეყანა აღმავლობის გზას დაადგა, რეალურად დავინახეთ, რომ საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში პრიორიტეტი სწორედ ამ დარგს ენიჭება. ხადლეისოდ მევენახეობა-მეღვინეობის დარგის მხარდასაჭერად მნიშვნელოვანი მიმართულებები გამოიკვეთა, მაგრამ, ნებსით თუ უნებლიეთ, დაშვებული შეცდომები, გაველურებული ვენახები, უხარისხო შხამქიმიკატების გამოყენება, გაძარცვული სათბურები, საწარმოები, ძნელად თუ იძლევა შექმნილი კრიზისის იოლად დაძლევის შესაძლებლობებს.

პრობლემის მოგვარებას კიდევ უფრო ართულებს გლეხობასა და სახელმწიფოს შორის წლების განმავლობაში დამკვიდრებული უნდობლობა, რაც ინტენსიურმა დაპირებებმა და საბოლოოდ, გლეხებისთვის ყურძნის საფასურის გადაუხდელობამ გამოიწვია. ამდენად, ბაკურ გულუას სრულიად ობიექტურად ეპარება ეჭვი, რომ მოსახლეობა დღეს მეწარმეს წინასწარი საფასურის მიღების გარეშე ჩააბარებს მოსავალს და შემდეგ მას კვლავ გაურკვეველი ვადით დაელოდება.

წლეულს 300-350 ათასი ტონა ყურძნის მოსავლის მიღებაა ნავარაუდევი, რაც კიდევ უფრო მეტ საზრუნავს გაუჩენს გლეხსაც და მეწარმესაც.

ხსენებული პრობლემის დაძლევის ერთადერთი საშუალება კი მოსახლეობისთვის ჩაბარებული ყურძნის საფასურის დროულად ანაზღაურება გახლავთ, მაგრამ დღესაც, ისევე როგორც უწინ, სახელმწიფოს, მეწარმეებს არ მოეპოვებათ სათანადო თანხები, რათა დროულად გადაუხადონ გლეხობას ფული.

მეღვინეები თანხების არქონას გამუდმებულ შემოწმებებს, კონტროლს აბრალებენ, რაც, ბუნებრივია მნიშვნელოვნად აფერხებს საწარმოს მთელი სიმძლავრით ამოქმედებას. სწორედ ამ ფაქტორმა განაპირობა, რომ სადღეისოდ სულ წარმოებულია 460 ათასი დეკალიტრი შამპანური, 110 ათასი დეკალიტრი კონიაკი, 55 ათასი დეკალიტრი არაყი, მნიშვნელოვნად შემცირდა მშრალი ღვინოების, ცნობილი ქართული კონიაკების წარმოება. სამაგიეროდ, მძლავრად გაჯერდა ქართული ბაზარი 25 ცენტად იმპორტირებული შამპანურით და ათასგვარი ფალსიფიცირებული სასმელით. როგორც ქართველი მეწარმეები აცხადებენ, ზემოხსენებულ მიზეზებთან ერთად ღვინის წარმოება შეაფერხა მკაცრმა საგადასახადო პოლიტიკამ (აქციზი, დამატებული ღირებულების გადასახადი, საურავები), რუსეთის ბაზრის დაკარგვამ, სავაჭრო კავშირ-ურთიერთობების მოშლამ. სწორედ ყოველივე ამან განაპირობა, რომ ბოლო ხუთი თვის განმავლობაში ღვინო-ალკოჰოლური პროდუქციისგან ბიუჯეტს შემოსავალმა მხოლოდ 400 ათასი ლარი შეადგინა.

„ახლა, როცა გაიგებენ, რომ ქარხანაში ყურძნის მიღება დავიწყეთ, შემოწმება-შემოწმებაზე დაიწყება და მუშაობის საშუალებას არ მოგვცემენ", — განაცხადა ახმეტის ქარხნის მეპატრონემ ნოდარ მანველიშვილმა.

სამაგიეროდ, მეღვინეობის დარგის ჩავარდნამ ხელი შეუწყო ადგილობრივი ფალსიფიცირებული ალკოჰოლიანი სასმელების თავაშვებულ წარმოებას. შიდა ბაზარზე, ლიცენზირების და სერტიფიცირების მოშლილი სისტემის წყალობით, ყოველგვარი სასაქონლო ნიშნის გარეშე, უკონტროლოდ იყიდება იაფფასიანი პროდუქცია. მავანი შიდა ბაზრსაც აღარ სჯერდება და სრულიად დაუბრკოლებლად ახდენს ფალსიფიცირებული პროდუქციის ექსპორტირებას რუსეთში. აქაც, შეიძლება მივიჩნიოთ, რომ პარადოქსულ მოვლენასთან გვაქვს საქმე: მეწარმე, ქარხნის მეპატრონე ვერანაირად ვერ ახერხებს რუსეთის ბაზარზე გასვლას (რომ აღარაფერი ვთქვათ ბაზრის დაპყრობაზე), მაშინ, როცა მავანი ფალსიფიკატორი უკვე კარგა ხანია საკუთარი პროდუქციის ექსპორტირებას ეწევა.

„ეს შეუსაბამობაა, როცა მსხვილი გადამხდელები გაჩერებულნი არიან, ფალსიფიცირებულმა საქონელმა კი ბაზარი წალეკა", — ბრძანა ბაკურ გულუამ.

ჩატარებული ლაბორატორიული კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ასეთი პროდუქცია ადამიანის სიცოცხლისთვის საშიშ ნივთიერებებს შეიცავს (მაგალითისთვის, არაყი „ნიკალა", „რუსსკაია"," რუსთავი"). რაც შეეხება არაყს „ლიმონი", თურმე, საღებავებისგან იყო დამზადებული და ზედმიწევნით უარყოფით ზემოქმედებას ახდენდა ადამიანის ჯანმრთელობაზე. „ხვანჭკარას", „ენისელის" და „სამტრესტის" სასაქონლო ნიშნებით საღდება ფალსიფიცირებული პროდუქცია.

ამჯერად აღარ შევუდგებით შამპანურის დამზადების ათასგზის ნათქვამი წესის ახსნას, რომლის წარმოებისას შაქრის მაგიერ გამოყენებული სახარინი დიაბეტის ჩამოყალიბების „საუკეთესო საშუალებაა".

ერთი სიტყვით, მოსანესრიგებელია ლიცენზირების და სერტიფიცირების სისტემა. არ შეიძლება, ვისაც გაეხარდება, როგორც მოუნდება, ისე გასცეს ლიცენზია სიცოცხლისთვის საშიშ პროდუქციაზე, მით უმეტეს, როცა სოკოებივით მომრავლებული სალიცენზიო სამსახურები არც სახელმწიფოს აწყობს და არც მომხმარებელს რგებს, გარდა იმისა, ვინც სარდაფში ასხამს შამპანურს და კიდევ ერთი-ორი ბიუროკრატისა, ვინც უკანონო ლიცენზიის გაცემაში იღებს ფულს.

### „ჩანს, ფინანსთა მინისტრი მეღვინეობის სფეროში უფრო ჩახედული კაცია, ვიდრე ფინანსებში"

იხუმრა ედუარდ შევარდნაძემ მას შემდეგ, რაც დავით იაკობიძემ საკმაოდ საინტერესოდ ისაუბრა მევენახეობა-მეღვინეობის დარგში არსებულ პრობლემებზე და სიტყვაც არ დასცდენია ამ დარგისთვის ფინანსურ დახმარებაზე.

### მაგრამ... დახმარება მაინც გამოჩნდა

როგორც სოფლის მეურნეობის და სურსათის მინისტრმა ბაკურ გულუამ განაცხადა, ევრობანკმა საქართველოს ბიუჯეტში უკვე გადმორიცხა 13 მილიონი ეკიუ, ხოლო, რაც შეეხება დანარჩენ 10 მილიონ ეკიუს, ევროკომისიამ მის გადმორიცხვაზე თავი შეიკავა მანამ, სანამ ეროვნული ბანკის პრეზიდენტი არ დაასრულებს საბანკო სისტემის სერტიფიცირებას. ევრობანკი დაჟინებით მოითხოვს, რომ ხსენებული თანხა მოხმარდეს სოფლის მეურნეობის განვითარებას და მისი ათვისება მხოლოდ საბანკო სისტემის მეშვეობით განხორციელდეს. ბაკურ გულუა მიიჩნევს, რომ წლიური ოცპროცენტიანი მომსახურებით საქართველოს ექნება, დაახლოებით, 10 მილიონი ეკიუს ეკვივალენტი საკრედიტო რესურსი. კრედიტის მიზანია, აგრეთვე, კომერციულ ბანკებს მუშაობის ჯანსაღი პირობები შეუქმნას.

„საქართველომ იმ პირობით მიიღო კრედიტი, რომ ფერმერებზე გაცემული თანხა, ორი-სამი პროცენტის გარდა, დადგენილ ვადაში უნდა დაბრუნდეს. თუ ეს პერიოდი გავიდა და თანხები არ დაბრუნდა, საქართველოს დახმარება შეუწყდება", — თქვა ბაკურ გულუამ.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა კი მინისტრის ნათქვამს ასეთი კომენტარი გაუკეთა: „არასწორია ის შეფასება, თითქოს, საქართველოს საბანკო სისტემა არ იყო მზად იმისთვის, რომ ეს პროგრამა განგვეხორციელებინა მანამ, ვიდრე ყველა ბანკი არ იქნებოდა სერტიფიცირებული. ასეთი პრეტენზია ჩვენთვის ევროკომისიას არ წაუყენებია. მხოლოდ რვა ბანკს სრულიად თავისუფლად შეეძლო ეს ოპერაცია ეწარმოებინა. ასე რომ, ამის შესაძლებლობა გვქონდა, მაგრამ ვერ გამოვიყენეთ".

### „რამდენი დირექტორიც არ უნდა გავუშვათ, ამაზე უკეთესს ვერ ვიშოვით"

ასეთია საგადასახადო სამსახურის უფროსის დავით სალარიძის მოსაზრება. ამიტომაც, მისი აზრით, ხელი უნდა შეეწყოს მეწარმეობის განვითარებას, საჭიროა ამ დარგისთვის გარკვეული პროტექციონალიზმის გატარება საგადასახადო პოლიტიკაში, რათა ფეხზე დადგეს მევენახეობა-მეღვინეობა და მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს ქვეყნის ეკონომიკის აღმშენებლობაში.

### „ბევრი ქარხანა შემთხვევითი ადამიანის ხელში აღმოჩნდა"

რაც შეეხება ზემოთ წამოჭრილ პრობლემას — შიდა ბაზრის დაცვას, ამასთან დაკავშირებით პარლამენტის თავმჯდომარემ ბრძანა: „ფალსიფიცირებული პროდუქცია არა მხოლოდ სარდაფებში იწარმოება, არამედ, დიდ ქარხნებშიც, რომელთა ხელმძღვანელები დღეს, ალბათ, ამ დარბაზშიც სხედან. როცა შემმოწმებელი „ბეგარას" ჯიბეში იდებს, მისთვის სულერთია ეს წერილი საწარმო იქნება თუ მსხვილი".

ზურაბ ჟვანიამ მკაცრად გააკრიტიკა ის მეწარმეები, რომლებიც აცხადებენ, თითქოს რუსეთიდან არ არსებობს მოთხოვნილება ქართულ ღვინოზე. მისი თქმით, მეწარმეებს ნაბიჯის გადადგმაც არ უნდათ, ძველებურად აზროვნებენ, ჰგონიათ, რომ შევარდნაძე მოიწვევს თათბირს და ვინმეს მათი პრობლემის მოგვარებას დაავალებს. როგორც პარლამენტის თავმჯდომარემ აღნიშნა, კერძო საუბრებში გაირკვა, რომ, თურმე, ზოგიერთმა მეწარმემ ისიც არ იცის, როგორია სააქციზო განაკვეთი, როგორი ფასებია ამ პროდუქციაზე რუსეთში. ამდენად, ვინც ალღო აუღო მენეჯმენტს, მშვენივრად პოულობს პარტნიორსაც და პროდუქციაც შეუფერხებლად გააქვს რუსეთში.

ზურაბ ჟვანია მიიჩნევს, რომ მეწარმეებმა საწარმოთა პრივატიზებისას დიდი დახმარება მიიღეს სახელმწიფოსგან, მათ, ფაქტობრივად, იაფად ჩაიგდეს ხელში ქარხნები. სახელმწიფომ მათ 8 მილიონი დოლარის კრედიტი გამოუყო, სალაროში კი 40 ათას დოლარზე მეტი არ დაბრუნებულა. ივნისისთვის კახეთში 2 მილიონ 230 ათასი დეკალიტრი ღვინოა წარმოებული, საგადასახადო მონაცემებზე დაყრდნობით კი, ჟვანიას განცხადებით, უკვე რეალიზებულია 200 ათასი დეკალიტრი ღვინო, თუმცა, ბიუჯეტში ერთი თეთრიც არ შესულა. „ბევრი ქარხანა შემთხვევითი ადამიანის ხელში აღმოჩნდა. შემთხვევითი იმ თვალსაზრისით, რომ მათ ქარხნის გაძღოლა გაუჭირდათ. ნურავის შეექმნება ისეთი შთაბეჭდილება, რომ ქარხნები მათ შვილიშვილებს მემკვიდრეობით გადაეცემათ. ასეთ ვითარებაში საჭიროა სახელმწიფოს ჩარევა. ზოგიერთი ხელს ითბობს მაშინ, როცა ათეულობით ათასი გლეხი შიმშილით კვდება", — ასეთი მკაცრი განცხადება გააკეთა პარლამენტის თავმჯდომარემ და იქვე დასძინა, რომ წინააღმდეგია მეღვინეობის დარგში გრძელვადიანი, შეღავათიანი კრედიტების გაცემის, თუმცა, მხარს დაუჭერს კრედიტების გამოყოფას მათთვის, ვინც დროულად მოახერხა პროდუქციის რეალიზებაც და გადასახადების გადახდაც.

### „პოლიტიკური შეცდომების შედეგს ეკონომიკაში ვიმკით",

განაცხადა პრეზიდენტმა. მისი აზრით, მევენახეობის და მეღვინეობის დარგში შექმნილი ვითარება განპირობებულია იმ ფაქტორით, რომ ორი საუკუნის განმავლობაში რუსეთის ეკონომიკაზე მიჯაჭვული საქართველოს ეკონომიკა ერთბაშად მაშინ დაინგრა, როცა თავისუფლების მიღების შემდეგ უარი განვაცხადეთ რუსეთთან ურთიერთობაზე იმ იმედით, რომ საკუთარი რესურსებით „გავიტანდით თავს. სწორედ ამან გამოიწვია, რომ რუსეთმა გზა გადაგვილობა როგორც საკუთარი ბაზრისკენ, ისე დასავლეთისკენ.

ედუარდ შევარდნაძე, … შეიძლება, ქვეყანა მხოლოდ … ტით ცხოვრობდეს და არ იზრუ… ექსპორტზეც. აუცილებელია … ლა ხარისხიანი პროდუქციის … მოებისთვის საერთაშორისო სტა… რტების მისაღწევად, რათა და… ვიდროთ ჩვენი ადგილი რუსეთის … ევროპის ბაზრებზე".

რაც შეეხება მეწარმეთა… დახმარების გაწევას, ამას… დაკავშირებით ედუარდ შევარ… ნაძეს პარლამენტის თავმჯდო… რისგან განსხვავებული მოს… რება აქვს: „სახელმწიფოს ვა… ერთნაირად იზრუნოს როგორც … ჭირვებულ, ისე დალხინებულ … ნესმენზე. სახელმწიფომ მას … უნდა გაუკეთოს, როცა უქ… ჩვენ მათ მივეხმარებით, რათა … ვაღწიოთ იმ ბაზარზე, რომე… ქვეყნის ეკონომიკის განვითარ… თვისაა აუცილებელი".

პრეზიდენტი მიიჩნევს, … სახელმწიფომ უნდა გასცეს კ… დიტი თანხის დროულად დაბ… ნების გარანტიის შემთხვევაშ…

კრედიტებზე საუბრი… ედუარდ შევარდნაძემ ბრძ… რომ მეწარმეები აიღებენ ს… იმ პირობით, თუკი გირა… საკუთარ საწარმოებს ჩადე… თანხის დაუბრუნებლობის შ… თხვევაში, სახელმწიფო დაიბ… ნებს ქარხანას და სხვას მიჰ… დის.

უცხოეთიდან შემოტან… ფალსიფიცირებულ სასმელ… დაკავშირებით კი განაცხა… რომ ერთი კვირის განმავლო… ში უნდა ჩაიკეტოს იმპორტ… ფალსიფიცირებული პროდუქ… ის შემოტანის არხი.

მან აღნიშნა, რომ, პირვ… ყოვლისა, უიმედო ვალები უ… ჩამოვწეროთ, ხოლო ახალი … ლები უნდა გადაევადოთ … მეწარმეებს, რომლებიც ყურძ… შესყიდვის თაობაზე ხელშეკრ… ლებებს გააფორმებენ მოსახ… ობასთან.

„ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის … ნვითარებისთვის პრიორიტეტუ… კერძო მესაკუთრე და მას რად… ლურად უნდა დავუჭიროთ მხა… — თქვა პრეზიდენტმა.

* * *

მევენახეობის და მეღვინე… ბის დარგის გადასარჩენად, შე… რდნაძის ინიციატივით, ერთ … რაში შეიქმნება სახელმწიფო … მისია, რომელმაც მოახლოებუ… რთველის ორგანიზებულად ჩა… რება უნდა უზრუნველყოს.

წლევანდელ რთველს ო… დიდი მისია აკისრია: პირვე… — უნდა უზრუნველვყოთ ბო… წლებში გაწბილებული მშრო… ლების მატერიალური ინტერე… ბის დაკმაყოფილება და მევე… ხესა და მეწარმეს შორის უ… თიერთობებში ნდობის ფაქტ… რის აღდგენა, და მეორე … ბოლო წლებში ღვინის მრეწ… ლობის საწარმოებში დარჩენი… ღვინო-მასალებისა და საკონ… სპირტების მწირი რესურსე… შევსება, რაც, როგორც შ… ისე საერთაშორისო ბაზა… ორიენტირებული ხარისხი… პროდუქციის წარმოების და … ყნის ეკონომიკის აღმავლო… მყარ საფუძველს შექმნის.

**დიანა გაბროშვილი**

ამა წლის 11 ივნისს გაზეთ „კავკასიონში" № 101, გამოქვეყ… ნდა სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს განცხადება სოფ… ლის მეურნეობის და სურსათის სამინისტროს № 1 სამეურნეო-ს… მშენებლო ტრესტის [illegible] სამა… რთველის იჯარით გამოსყიდვის უფლებით გაცემის შესახებ.

ვინაიდან ობიექტის შრომითმა კოლექტივმა ისარგებლა მ… ნიჭებული უპირატესობით, შექმნა დროებითი ამხანაგობა და ს… კონკურსო ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 14 კალენდარულ… დღის ვადაში სამინისტროში შემოიტანა განაცხადი ობიექტ… იჯარით გამოსყიდვის უფლებით აღების თაობაზე. ამიტომ კონკუ… რსი აღარ გაიმართა და აღნიშნული ობიექტი იჯარით გამოსყიდვ… უფლებით პირდაპირი წესით გადაეცა იმავე ობიექტის შრომით… კოლექტივის მიერ შექმნილ დროებით ამხანაგობას.

საქართველოს ქონების მართვის სამინისტრო

ფიქრისა და განსჯისთვის

# თავისუფლებით არათავისუფალი პრესა

## უკანონობის ვითარებაში

პირველი გვერდიდან

არადა, გაზეთმა ინფორმაცია რომ გაავრცელოს (თუნდაც, საკუთარი თვალთახედვის პრიზმაში გატარებულ-გადატეხილი) ჯერ უნდა მოიპოვოს იგი.

აქ კი მთავარ სათქმელს მივადექით. ინფორმაციის მოპოვების უპირველესი ამოცანის გადასაჭრელად ჩვენს გაზეთებს საკუთარი მეთოდები აქვთ. სამაგიეროდ, ფაქტორები, რომლებიც ქართულ პრესას ჭეშმარიტ თავისუფლებას უზღუდავს, ყველა გაზეთისთვის საერთოა.

ახლა შემოგთავაზებთ რამდენიმე ციტატას გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის „პრესის კანონიდან" და მკითხველისთვის მეყსეულად ცხადი გახდება, რატომ არის გერმანიაში თავისუფალი პრესა (ჩვენგან განსხვავებით) — ცოცხალი რეალობა:

„პრესის ყველა ორგანოს უფლება აქვს, პრეტენზია გამოთქვას ინფორმაციის მიღებაზე".

„პრესა ასრულებს საზოგადოებრივ ამოცანას — კერძოდ, ჭრებს და ავრცელებს ახალ ამბებს; აქვეყნებს, აკრიტიკებს ამა თუ იმ თვალსაზრისს და ამ და სხვა მეთოდებით საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაში მონაწილეობს. სახელმწიფო დაწესებულებები მოვალენი არიან, მიაწოდონ ინფორმაცია პრესის და რადიო-ტელევიზიის წარმომადგენლებს, თუ ამ ინფორმაციის მიღება ემსახურება პრესის მიერ მისი საზოგადოებრივი ამოცანის შესრულებას".

„დაუშვებელია საერთო განკარგულებები, რომლებიც სახელმწიფო დაწესებულებას პრესისთვის ინფორმაციის გაცემას აუკრძალავს".

„პერიოდული ბეჭდური გამოცემის გამომცემელს უფლება აქვს, სახელმწიფო დაწესებულებას მოსთხოვოს, რომ მისგან ოფიციალური განცხადება მიიღოს არაუგვიანეს კონკურენტებისა".

საქმე მხოლოდ ის კი არ არის, რას ჩავწერთ პრესის ახალ კანონში — ველოსიპედის თავიდან გამოგონებას შევუდგებით ეროვნულ ნიადაგზე თუ უკვე მრავალგზის გამოგონილის მართვას ავითვისებთ; საქმე ისაა, რომ რასაც პრესის კანონში ჩავწერთ, ის სავალდებულო უნდა იყოს არა მხოლოდ პრესის მუშაკებისთვის, არამედ ყველასთვის, ვისაც პრესასთან რაიმე შეხება აქვს. ყოველი კანონი ხომ, უპირველეს ყოვლისა, მთელი საზოგადოების ინტერესებს იცავს.

გერმანია მთელ მსოფლიოში სარგებლობს ისეთი ქვეყნის რეპუტაციით, რომელშიც საინფორმაციო-პოლიტიკური მოღვაწეობა განსაკუთრებით თვალსაჩინოა. ამ ქვეყანაში, რომელიც ქართველებისთვის ბევრი თვალსაზრისით სამაგალითოა, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები თავად განსაზღვრავენ, რა დაბეჭდონ, ან რა გადაცენ ეთერში. ისინი აშუქებენ და კომენტარს უკეთებენ ხელისუფლების მოღვაწეობას. მინისტრთა კაბინეტი უძლურია, გავლენა მოახდინოს მასალის ფორმაზე ან შინაარსზე. ხელისუფლება ვერ გამოაცხადებს პრეტენზიას მისთვის სასურველი ინფორმაციის გამოქვეყნებაზე. ერთადერთი, რაც მას ამ შემთხვევაში შეუძლია, გარკვეული საფასურის გადახდაა, კომერციული დაწესებულების ან კერძო პირის მსგავსად.

მეორე მხრივ, ხელისუფლება ვალდებულია, ინფორმაციით თანაბრად უზრუნველყოს მასობრივი ინფორმაციის ყველა საშუალება (ამ ასპექტით „დისკრიმინაცია" ჩვენში, ალბათ, თითოეულ გაზეთ საკუთარ თავზე გამოუცდია).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გერმანიაში მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა უმთავრესი უფლებაა ცნობების და ინფორმაციის მიღება სახელმწიფო ორგანოებიდან. ამ უფლების ძალით, რომელსაც სასამართლო იცავს, გერმანიაში პრესა თავის საზოგადოებრივ ფუნქციას ასრულებს (ჩვენში ვერავის უჩივლებ იმის გამო, რომ მავანმა გაზეთის წარმომადგენელს განუცხადა, ამ ფაქტის შესახებ თქვენზე მეტი არაფერი ვიცით, არადა, იცის რომელია და სამსახურებრივადაც ევალება ინფორმაციის გავრცელება).

გერმანიაში არსებობს „ფედერალური ხელისუფლების ბეჭდვის და ინფორმაციის უწყება", რომელიც ფედერალური სამინისტროების თანასწორი, უმაღლესი ფედერალური ორგანოა და 700 თანამშრომელს აერთიანებს.

ამას გარდა, გერმანიაში არსებობს „ფედერალური პრესკონფერენცია" (500 თანამშრომლით), რომელსაც რეგულარული და საგანგებო პრესკონფერენციების მოწყობა ევალება. როგორც წესი, ეს პრესკონფერენციები კვირაში სამჯერ იმართება (ორშაბათს, ოთხშაბათს, პარასკევს) და მასში ფედერაციული ხელისუფლების წარმომადგენლები მონაწილეობენ, არცთუ იშვიათად — თავად ფედერალური კანცლერი.



„ფედერალური ხელისუფლების ბეჭდვის და ინფორმაციის უწყებას" ჰყავს პასუხისმგებელი მორიგე, რომელსაც მუდმივად მიმართავენ აქტუალური მოვლენით დაინტერესებული ჟურნალისტები და მოქალაქეები. უეჭველია, ამგვარი სამსახურის არსებობა მთლიანად გამორიცხავს ჭორების მიმოდინებას.

გერმანიაში კარგად აცნობიერებენ, რომ სწორი გადაწყვეტილების მიღება შესაძლებელია მხოლოდ სარწმუნო, ინფორმაციაზე დაყრდნობით. ამიტომ, ინფორმაციის გავრცელების და მიღების იქაური სისტემა კანონით დაცულია და საათის მექანიზმივით მწყობრი. დასაშვები ყველასთვის თანაბრად დაშვებულია, აკრძალული — ყველასთვის თანაბრად აკრძალული.

კიდევ ერთხელ დავუბრუნდეთ იმ რეალობას, რაც მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს უკავშირდება ჩვენს ქვეყანაში. გერმანიის ფონზე აშკარად იკვეთება, რას გულისხმობს ქართული პრესის თავისუფლება: ის, რაც აკრძალულია ერთისთვის, დასაშვებია მეორისთვის; ინფორმაციის წყარო, რომელიც ზოგისთვის დახშულია, სხვათათვის ღიაა, თანაც, უპრობლემოდ; საზოგადოებრივი ცნობიერება „ინელებს" აშკარა ტყუილს, კონფორმიზმს, ზოგჯერ — სრულ ინფორმაციულ ვაკუუმს.

ასე რომ, თუ მაინც გავბედავთ და ვიტყვით, რომ ჩვენში პრესის თავისუფლებაზე საუბარი ნაადრევია, ამას აკვიატებულ იდეად ნუ ჩამოგვართმევთ. როდესაც პრესის თავისუფლების ხარისხს ვუჩივით, იმას კი არ ვგულისხმობთ, რომ ჩვენზე, თავისუფალ გაზეთებზე, ვინმე საკუთარი გავლენის გავრცელებას ცდილობს — ამ პრობლემისგან თავისუფალი პრესა მართლაც თავისუფალია, მაგრამ, ჯერჯერობით, იგი ასევე თავისუფალია იმ საცერიდან, რომელიც იმისთვის არსებობს, რომ ფქვილს და ქატოს თავ-თავისი ადგილი მიუჩინოს. ამიტომ, ჩვენი თავისუფალი პრესისთვის ასეთი სახელდება უფრო ზუსტად მიგვაჩნია — „თავისუფლებით არათავისუფალი" პრესა.

საქართველოში ხშირად ვითარებას ისე წარმოაჩენენ, თითქოს, პრობლემა სათავეს ხელისუფლებასა და პრესას შორის კონფლიქტიდან იღებდეს. უნდა ითქვას, რომ ამგვარი პრობლემა მართლაც იდგა, თუნდაც, ორი-სამი წლის წინ, მაგრამ ამჟამად ეს ეტაპი მნიშვნელოვანწილად დაძლეულია. პრესის ძალით შეზღუდვა დღეს ძალიან გაჭირდება, თუნდაც, თავი დავანებოთ იმას, რომ ეს ქვეყნის განვითარების გენერალურ ხაზს ეწინააღმდეგება. მაგრამ მიამიტობა იქნება, პრესას ვუწოდოთ თავისუფალი იმ ნიშნით, რომ გაზეთიდან დაუსჯელად შეიძლება ნებისმიერი ადამიანის შეურაცხყოფა. ეს თავისუფლების ილუზიაა, რომელსაც საფუძვლად უდევს საკანონმდებლო ბაზის ვაკუუმი და კანონისადმი გლობალური უპატივცემულობა. პრესის უმთავრესი ფუნქცია — საზოგადოებრივი კონტროლი და ყოველგვარი ხინჯის მხილება — ჩვენში მოშლილია. საზოგადოებამ იმუნიტეტი გამოიმუშავა პრესის მიმართ, რითიც პრესას საზოგადოებრივი ცხოვრების მიღმა, „სათბურში" უკრა თავი. კარგა ხანია, ჩვენში არ მომხდარა არც ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელსაც თავისუფალი პრესა არ გამოხმაურებოდეს, მაგრამ, როგორც წესი, ეს ხმა ადრესატის ნერვებს თუ ათრთოლებს მხოლოდ.

მაგალითად: ყოფილ მინისტრთა კაბინეტზე მთლიანად და მის ამა თუ იმ წევრზე იმდენი მამხილებელი მასალა თუ შეფასება დაბეჭდილა ქართულ პრესაში, რომ საოცარია, როგორ შეიძლებოდა, ამას არანაირი გავლენა საზოგადოებრივ ცხოვრებაზე არ მოეხდინა. აქაც სწორედ იმ იმუნიტეტმა იმუშავა, რომელიც პრესის როლის დაკნინებას და მის „სასათბურე" მდგომარეობას ცხადყოფს. მეორე მხრივ კი, როდესაც განურჩევლად ყველას ლანძღვა დასაშვებია, როცა ამ მხრივ სრული თავისუფლებაა, როდესაც სასამართლოს ხსენება ყოველი კონფლიქტის შემთხვევაში მხოლოდ ღიმილს თუ იწვევს — ცხადია, მტყუან-მართალი აღარ განირჩევა. ეს ვითარება ყველაზე მეტად საზოგადოების იმ ფენის ინტერესებს შეესაბამება, რომელიც ამღვრეულ ტბორში უკეთ გრძნობს თავს, ვიდრე მოკლიკლიკე ნაკადულში.

ჩვენში დამკვიდრდა სტანდარტული რეაგირება გაზეთში გამოქვეყნებულ მასალაზე — გაზეთში რაც უნდა წერონ, ეგენი ყველანი მატყუარები არიან — და მოიშველიებენ ხოლმე რომელიმე აშკარად ოდიოზურ შემთხვევას, როდესაც რომელიღაც არაკეთილსინდისიერმა ჟურნალისტმა აშკარად დაარღვია კანონი. და ამაში მთელ პრესას ადანაშაულებენ. ტყუილია, თითქოს, პრესას აწყობდეს კანონს მიღმა თავისუფლება. ამგვარი ვითარებით დაინტერესებულია სწორედ ის, ვისაც აწყობს, რომ პრესა დისკრედიტირებულ როლში ჩააყენოს. კიდევ ერთხელ გავიხსენოთ, თითქმის ყველა შემდგომში გახმაურებული დანაშაულის ფაქტებზე, მაფიოზური სტრუქტურების მოქმედებებზე პირველად პრესამ ამოიღო ხმა. დასავლეთში არ შეიძლება, გაზეთმა ბრალი დასდოს რომელიმე მინისტრს, პოლიტიკურ მოღვაწეს და მაშინვე სიმართლის გარკვევის აუცილებლობა არ გაჩნდეს. სასამართლოებიც იმართება და მსხვილი ფიგურებიც ეწირებიან ამგვარ კონფლიქტებს. ჩვენთან კი — ვითომც არაფერი მომხდარა. დღეს აჟიოტაჟია კონტროლის პალატის გარშემო. ბოლოს და ბოლოს, ალბათ, გაირკვევა, რა დარღვევების შესახებ ფლობს მასალას კონტროლის პალატა. არადა, ახლავე დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ამ დარღვევების უმრავლესობაზე პრესაში უკვე დაწერილა, მაგრამ უშედეგოდ.

უნიადაგოა კანონით პრესის შეშინების მცდელობები, რადგან სწორედ დამკვიდრებული უკანონობის ატმოსფერო ხდის გაზეთების მუშაობას ნაკლებეფექტურს და სწორედ უკანონობაა მიზეზი, რომ საზოგაოება, ფაქტობრივად, ვერ იყენებს პრესას ათასი ხინჯის, თუნდაც, კორუფციის წინააღმდეგ იარაღად.

სანამ ასეთი ვითარება გაგრძელდება და პრესის თავისუფლება „გიჟის თავისუფლების" ტოლფასად აღიქმება, მანამდე იქნება ქართული პრესა თავისუფლებით არათავისუფალი.

ასე რომ, ჩვენს ქვეყანაში პრესა არათავისუფალია, უპირველეს ყოვლისა, იმ ნიშნით, რომ თავისუფალი პრესის ფუნქციას იგი ბოლომდე ვერ ასრულებს, საზოგადოებრივ ცხოვრებაზე გავლენას ვერ ახდენს და, საერთოდ, აქლემების ქარავნის დამაშინებელ იმ ძაღლს წააგავს, რომელიც არავის ეკითხება (ანუ თავისუფალია არჩევანში), როდემდე იყეფებს უნაყოფოდ და დაუღალავად.

ცხადია, გაზეთ „კავკასიონს" ჩვენ ამავე წიაღში მოვიაზრებთ. სწორედ ამიტომ მიგვაჩნია აუცილებლად, ცივილიზებული ქვეყნის გამოცდილებაზე ვიფიქროთ და ჩვენი წილი პასუხისმგებლობა ვიკისროთ იმ მორალურ ატმოსფეროზე, რომელმაც, ახალ საკანონმდებლო ბაზასთან ერთად, თავისუფლების სხვა ხარისხი უნდა შესძინოს ქართულ პრესას.

**ია ანთაძე**

იუბილე

გაზეთი „კავკასიონი" პოეტ რეზო ამაშუკელს ულოცავს დაბადების 60 წლისთავს. გთავაზობთ ინტერვიუს იუბილართან.

# რეზო ამაშუკელი: მთელი ცხოვრება ერთ წიგნს ვწერ



— აქვს თუ არა ლიტერატურას ზნეობრივ-აღმზრდელობითი დანიშნულება, თუ აქვს, როგორ ვლინდება იგი?

— ცხადია, აქვს. მსოფლიო ცივილიზაცია სარწმუნოებისა და ხელოვნებისგან შედგება. ესაა კაცობრიობის ის მონაპოვარი, რომელზეც ეთიკური ნორმები ჩამოყალიბდა. რაც შეეხება ლიტერატურას, მას დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს. ნებისმიერი ერის ადგილი მსოფლიო ცივილიზაციაში, ალბათ, მისი ლიტერატურითაც განისაზღვრება, რაც შემდგომში მსოფლიო კუთვნილებას შეადგენს. ბოლო დროს, მიუხედავად იმისა, რომ ლიტერატურაში, კერძოდ, პოეზიაში, უდიდესი ტრადიცია გვაქვს, ბევრი კონიუნქტურა დაიწერა. პატრიოტიზმს ამოფარებული ბევრი მდარე ხარისხის პროდუქცია შეიქმნა. ეს უნიჭობის თავშესაფარია.

— რამდენად შეძლო ქართულმა ლიტერატურამ ჩვენში მიმდინარე დრამატული პროცესების განჭვრეტა?

— დიდმა ტკივილმა კარგა ხნით გაჩუმება იცის. ლიტერატურა ქრონიკა არაა. მიმდინარე ამბავი მაშინვე რომ გადაიღოს, ამას დრო სჭირდება. რაღაც დროის შემდეგ დღევანდელი ყოფა აისახება ლიტერატურაში. იმედი მაქვს, რომ ეს ლიტერატურა იქნება და არა ფაქტების კონსტატაცია, რაც ხშირად ხდება და რასაც ლიტერატურად ასაღებენ. მე ძალიან ცოტას ვხედავ დღეს ჩემს გარშემო ისეთ პიროვნებას, ვინც შეძლებს სწორი ეროვნული ორიენტაციის ანალიზით შექმნას რამე და არა ყალბი ეროვნული პათოსით.

— შეგცვალათ თუ არა თქვენ, როგორც შემოქმედი და პიროვნება, ამ წლებმა?

— რასაკვირველია, შემცვალა. მე, საუბედუროდ, დავკარგე ის გულუბრყვილობა და მიმნდობლობა, რაც მქონდა, მთელი ცხოვრება მახლდა თან. ურთიერთობებში უფრო ფრთხილი გავხდი. საერთოდ, სხვებთან შედარებით, ყოველთვის ცოტას ვწერდი. საუბედუროდ, ახლა უფრო მეტად გავჩუმდი როგორც პოეტი. მიუხედავად იმისა, რომ უჯრაში რაღაც ნაწერები მაქვს, არავითარი სურვილი არა მაქვს მათი გამოქვეყნების, იმიტომ რომ, ვგრძნობ, ერმა პოეზიის მიმართ ინტერესი დაკარგა. გარდა ამისა, არის აბსოლუტური განურჩევლობა. იწყება გემოვნების დევალვაცია. ასე რომ, თავისთავად ცხადია, ბოლო წლებმა, ჯერ ერთი, დამაბერა, მერე კი, ვგრძნობ, საგრძნობლად გამომცვალა. კომპრომისების თავი აღარ მაქვს, მარჯვენა ლოყასაც ვერავის მოვუშვერ, იმიტომ რომ, დავრწმუნდი, ვინც სხვაგან დგას, ის არასოდეს არ დადგება შენს გვერდით. ასე რომ, მე არ მჯერა შერიგების ყალბი მოწოდებების.

— როგორ აფასებთ დღეს საკუთარ შემოქმედებას? რა მიგაჩნიათ მასში მეტად თუ ნაკლებად სიცოცხლისუნარიანად?

— ძალიან ძნელი კითხვაა ჩემთვის. საერთოდ, ვერიდები ჩემი შემოქმედების შეფასებაზე საუბარს. მაგრამ პირდაპირ ვიტყვი — ცოცხალ პოეტთა შორის მათი ლექსების გვერდით მე თამამად დავდებ ჩემს ათ ლექსს. რაც შეეხება სიცოცხლისუნარიანობას, მთელი ცხოვრება ერთ წიგნს ვწერდი და მას დავტოვებ. სიტყვის გრძნობა, პოეზიის გაგება ჩემში იგივე დარჩა. მთელი ცხოვრება ვცდილობდი, დახვეწილი ყოფილიყო ჩემი ფრაზა, განწყობა. ვერ ვიტან მდაბიურ განწყობას. დღეს ძალიან ცოტა პოეტმა იცის ქართული. არისტოკრატიზმისკენ — აი, ჩემი დამოკიდებულება. ყველა ენას ისწავლი ქართულის გარდა. თუ ქართული სისხლში არა გაქვს, მისი სწავლა გამორიცხულია. დღეს ზოგი კლასიკოსივით დაიარება, მაგრამ როგორიც მწარეც არ უნდა იყოს ეს ნათქვამი, მათი ბევრი რამ დავიწყებას მიეცემა, მომავალს კი დრო და მკითხველი განსჯის.

— რა ხარვეზებს აწყდება ქართული კულტურა, კერძოდ, ლიტერატურა?

— მე თავს შევიკავებ ამ კითხვაზე პასუხისგან. დღეს მომრავლდა ბევრი უგემოვნებო, დაბალი ღირებულების წიგნი. თუ გემოვნებას დროზე არ მივხედეთ, მერე გვიან იქნება. მე რომ ამ კითხვაზე გიპასუხოთ, მაშინ კონკრეტული მაგალითები უნდა მოვიყვანო, რაც საკმაოდ ბევრია. მიუხედავად იმისა, რომ მე პირდაპირი ლაპარაკი მჩვევია, ამჯერად თავს ავარიდებ კონკრეტულ საუბარს.

— საჭიროა თუ არა კლასიკის ხელახალი შეფასება? რა არის კლასიკიდან თქვენთვის უფრო ძვირფასი და რა ნაკლებად მისაღები?

— კლასიკა იმის კლასიკაა, რომ ყველაფერი ახლობელი უნდა იყოს, გააჩნია რას ვუწოდებთ კლასიკას. ცოტა ხანში კლასიკა იქნება ოთარ ჭილაძის, ჯაბუა ამირეჯიბის შემოქმედება და სხვ. ცხადია, გალაკტიონი, გიორგი ლეონიძე, ირაკლი აბაშიძე და სხვებიც ჩვენი კლასიკაა.

— როგორ გესახებათ ქართული ლიტერატურის პერსპექტივა?

— ერის ყველაზე დიდი მონაპოვარი ენაა. ამ თვალსაზრისით ჩვენ უმდიდრესი ერი ვართ. დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენს ლიტერატურას ისეთივე დიდი მომავალი აქვს, როგორიც წარსული ჰქონდა. მალე დამთავრდება ლიტერატურული პრანჭიაობები. აუცილებლად მოვა თაობა, რომელიც ჩვენი ლიტერატურის ღირსეული მემკვიდრე გახდება.

რუსეთი

# დიდ ომში ყოფილ მეგობრებსაც კვეთენ თავებს...

პირველი გვერდიდან

ერთ-ერთი „დაზარალებული“ არკადი ევსტაფიევი აღნიშნავს, რომ თეთრი სახლის შესასვლელში, ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე მას „ხელი სტაცეს“ პირებმა, რომლებიც პრეზიდენტის დაცვის სამსახურის თანამშრომლებად გაეცნენ. მათ თან ახლდა ავტომატიანი მილიციელი, რომელსაც ნაბრძანები ჰქონდა, დაკავებულისთვის მცირეოდენი მოძრაობის შემთხვევაშიც კი ესროლა. ამის შემდეგ ევსტაფიევი შეიყვანეს ოთახში, სადაც 11 საათის განმავლობაში ჰყავდათ დაკავებული და წესიერად ისიც კი არ აუხსნეს, თუ რისთვის შეიპყრეს იგი. ამ ხნის მანძილზე „მომხდურნი“ ცდილობდნენ მიეღოთ მისგან ინფორმაცია არჩევნებთან დაკავშირებული დეტალების შესახებ.

ევსტაფიევმა დაკავების დროს დააფიქსირა ერთი საინტერესო პასაჟი, რომელიც „მოძალადეთა“ მხრიდან გაისმა: „ელცინი მაინც გაიმარჯვებს, მაგრამ არა მათი მეშვეობით, ვინც მას ეტმასნება, არამედ ჭეშმარიტი პატრიოტების დახმარებით“.

მეორე დაკავებულმა სერგეი ლისოვსკიმ ამ ინციდენტის კომენტარისგან თავი შეიკავა.

თეთრ სახლში მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით თავისი აზრი გამოთქვეს რუსეთის წამყვანმა პოლიტიკოსებმა. მაგალითად, სერგეი ფილატოვმა კორჟაკოვსა და ბარსუკოვს ბრალი დასდო პოლიტიკაში ჩარევის მცდელობაში და ლისოვსკის და ევსტაფიევის დაპატიმრებას უხამსობა უწოდა. სხვა აზრისაა პრეზიდენტის პირველი თანაშემწე ვიქტორ ილიუშენკო, რომლის თქმითაც, ასეთ სიტუაციას ზიანი მოაქვს დღევანდელი პრეზიდენტის წინასაარჩევნო კამპანიისთვის, ხოლო უშიშროების სამსახურის მოსკოვის სამმართველოს უფროსი გენერალი ტროფიმოვი აცხადებს, რომ ევსტაფიევი და ლისოვსკი დაცვამ მატერიალურ-ეკონომიკური ხასიათის სამართალდარღვევის გასარკვევად „მიიპატიჟა“, რომლის დროსაც, საუბარი ცივილიზებული ფორმით, ჩაისა და ყავის თანხლებით მიმდინარეობდა. პრემიერმინისტრმა ვიქტორ ჩერნომირდინმა კი სიტუაციის დრამატიზირება საჭიროდ არ მიიჩნია, რადგან „საქმე მხოლოდ საშვთა სისტემის დარღვევას შეეხებოდა“.

პრეზიდენტის წინასაარჩევნო შტაბის ანალიტიკური ცენტრის ხელმძღვანელმა ანატოლი ჩუბაისმა აღნიშნულ ინციდენტთან დაკავშირებით გამართულ პრესკონფერენციაზე აღნიშნა, რომ ყველაფერი, რაც შეიძლებოდა მომხდარიყო, უკვე მოხდა — პრეზიდენტის გუნდის ზოგიერთი წევრი, რომლებიც საპრეზიდენტო არჩევნების ძალისმიერ მეთოდსა და, საერთოდ, არჩევნების გადაკადებას უჭერდნენ მხარს, თამაშიდან გავიდნენ. პრეზიდენტი თავისი გუნდის გადახალისებას შეუდგა. მისივე თქმით, უშიშროების საბჭოს მდივნად ალექსანდრე ლებედის დანიშვნით, ბოლო ლურსმანი დაეჭედა „რუსეთში კომუნიზმის ისტორიის კუბოს“.

„ამ გადაწყვეტილების მიღება კიდევ ერთხელ ადასტურებს პრეზიდენტის დიდ ნებისყოფას და მის უნიკალურ პოლიტიკურ პოტენციალს“, — აღნიშნა ჩუბაისმა. მანვე ეს შემთხვევა არჩევნების მეორე ტურში ელცინის გამარჯვების პრელუდიად შეაფასა, ხოლო ალექსანდრე ლებედმა მას მეორე ტურის ჩაშლის მცდელობის კვალიფიკაცია მისცა და დასძინა, რომ ნებისმიერი „ამბოხი“ სასტიკი ფორმებით იქნება ჩახშობილი, რადგან „ვინაც ქვეყნის სისხლიანი ქაოსისკენ დაბრუნება სურს, შებრალებას არ იმსახურებს“. მან პრეზიდენტის წინასაარჩევნო კამპანიის ორგანიზატორთა დაპატიმრებას „ამღვრეული ისტორია“ უწოდა, რომელმაც, ფაქტობრივად, „თავისი თავი ამოწურა“.

ასეთ სიტუაციაში სასწრაფოდ მოიწვიეს უშიშროების საბჭოს სხდომა, რომელზეც ბორის ელცინმა ახალ თანამდებობაზე ოფიციალურად წარადგინა ალექსანდრე ლებედი. ამ სხდომიდან ნახევარი საათის შემდეგ კი, რუსეთის პრეზიდენტმა ის სენსაციური განცხადება გააკეთა, რომელიც, შეიძლება, შემობრუნების მომენტი გახდეს არა მხოლოდ ქვეყნის მიმდინარე პოლიტიკურ ცხოვრებაში, არამედ, საერთოდ, რუსეთის უახლეს ისტორიაში — თანამდებობიდან გაათავისუფლა ზემოაღნიშნული სამი მაღალი ჩინოსანი.

იმავე საღამოს უშიშროების ფედერალური სამსახურის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლად დაინიშნა ნიკოლოზ კოვალიოვი, რომელიც მანამდე ამ სტრუქტურაში ეკონომიკური კონტრდაზვერვის საკითხებს კურირებდა; პრეზიდენტის დაცვის სამსახურის უფროსის მოვალეობას კი ამიერიდან დაცვის ფედერალური სამსახურის უფროსი იური კრაპივინი შეასრულებს.

ეს ცვლილებები პრეზიდენტმა კადრების გადაადგილების აუცილებლობითა და უკვე განთავისუფლებულ პირთა მიმართ ბოლო პერიოდში გამოთქმულ კრიტიკულ შენიშვნებზე რეაგირებით ახსნა.

რუსეთის ხელმძღვანელობიდან სამი საკვანძო ფიგურის გადაყენება ნიშნავს სახელმწიფო მმართველობის სტრუქტურების შეცვლის ზემოდან გაცემულ სანქციას. ამ გადამწყვეტ და, ამავე დროს, სარისკო ნაბიჯზე ელცინი არჩევნების მეორე ტურამდე ორი კვირით ადრე წავიდა. მიმომხილველების აზრით, სოსკოვეცისა და კორჟაკოვის, შედარებით ნაკლებად კი, ბარსუკოვის, ხელში თავს იყრიდნენ რუსეთის ეკონომიკის, ფინანსების და საზოგადოების მართვის ზოგჯერ უხილავი ძაფები. მათი მეშვეობით ხორციელდებოდა კავშირები საბანკო სტრუქტურებსა და წარმოებას შორის. ამიტომ, საქმიანი რუსეთიც, ამ ცვლილებებზე, ალბათ, ადეკვატურ რეაქციას მოახდენს.

ასე რომ, გუშინ თეთრ სახლში კიდევ ერთი პოლიტიკური ავანტიურა ჩაიშალა. როგორც ჩანს, თეთრი სახლი „მოჯადოებულ ადგილზე“ დგას. სამივე მოვლენა, რომელსაც შეეძლო რადიკალურად შეეცვალა რუსეთის პოლიტიკური კურსი უკანასკნელ წლებში, სწორედ აქ დატრიალდა. გუშინ კი ჩანასახშივე ჩაკლეს კიდევ ერთი „კრემლის ომი“. 19 ივნისის ღამესა და 20 ივნისის დილას ყველაფერი თავის ადგილზე დადგა — ფორმალურად, ბარსუკოვმა და კორჟაკოვმა, თავისი ნებით დატოვეს პოსტები. მაგრამ, შესაძლოა, ამ ორი „კულისების მეფის“ დამხობა რუსეთის მოქალაქეთა უმრავლესობის სურვილსაც დაემთხვა.

წესით, ახლა, არჩევნების მეორე ტურის ნორმალურ ჩატარებას აღარაფერი უნდა დაუდგეს წინ.

**ირინე დეკანოიძე**


**დასავლეთის თამბაქოს მსხვილი ფირმა ეძებს სავაჭრომარკეტინგულ რეგიონალურ წარმომადგენელს საქართველოში სამუშაოდ**

მოთხოვნილება:

* წერითი და სალაპარაკო ინგლისურის კარგად ცოდნა
* შესაბამისი სამუშაო სტაჟი
* ენთუზიაზმი, ენერგია, სწავლის სურვილი
* ასაკი 20-დან 30 წლამდე

ცხოვრება თბილისში

შესაფერის კანდიდატურას შესთავაზებენ კონკურენტუნარიან ხელფასს, სწავლებას, შესაძლებელია პროფესიული ზრდა.

კანდიდატურების განსახილველად, გთხოვთ, გამოგვიგზავნოთ თქვენი რეზუმე (ინგლისურ ენაზე) მოსკოვში ფაქსით **929-93-01, 929-93-06.**

(მიუთითეთ: SHSPM) ან დიდ ბრიტანეთში **+44 1296 335980**

(მიუთითეთ: CESPM).


ბიზნესი

# ოფშორი — მირაჟი თუ ბიზნესმენთა აღთქმული ქვეყანა

(დასაწყისი იხ. №106, 107, 108)

## ოფშორული კომპანიები და საქართველოს ბიუჯეტი

საქართველოს ისედაც მიზერული ბიუჯეტი კიდევ უფრო მძიმე დღეში აღმოჩნდა იმის გამო, რომ ჩვენს ქვეყანაში გადასახადის გადახდა არავის სურს. მოსახლეობა არ იხდის კომუნალურ, ელექტროენერგიის და სხვა სახის გადასახადებს. მეწარმეები ყველანაირად ცდილობენ, თავი აარიდონ დაწესებულ ბეგარას, საზღვარზე შემომსვლელთა უმეტესობას სურს, ოფიციალური ბაჟის მაგიერ მებაჟეებს სცეს „პატივი“ და ამით იოლად გამოვიდეს. ტოტალური კორუფციის პირობებში კი თითქმის ყველა მაიგანი ახერხებს გადასახადების გადახდისთვის თავის არიდებას. ოფშორული კომპანიების გამრავლება ხელს შეუწყობს საქართველოდან კაპიტალის გადინებას და ბიუჯეტის გაღარიბებას, თუმცა... სპეციალისტები ამტკიცებენ, რომ მედალს მეორე მხარეც აქვს და ოფშორული კომპანიების გამრავლება საქართველოს ეკონომიკის განვითარების საწინდარი შეიძლება გახდეს.

ქართული ეკონომიკის ყველაზე სუსტი წერტილი საბრუნავი კაპიტალის უქონლობაა. კონკურენტუნარიანი, მსოფლიო სტანდარტების შესაბამისი საქონლის წარმოება განვითარებულ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას მოითხოვს. ამისათვის საჭიროა თავისუფალი თანხები, რომლებიც ქართველ მეწარმეებს არ მოეპოვებათ, სხვადასხვა სახის გადასახადები კი საჭირო კაპიტალის დაგროვებას გამორიცხავს. განსაკუთრებით უჭირს მძიმე და საშუალო ბიზნესს, რომლით მიღებული შემოსავალი ძლივს აკმაყოფილებს კვლავწარმოების მოთხოვნილებას და თითქმის გამორიცხავს წარმოების გაფართოების შანსს.

ოფშორული კომპანიის შექმნა ხელს უწყობს კაპიტალის დაგროვებას და მის რეინვესტირებას საქართველოში. ვითარდება მეწარმეობა, მუშახელი საქართველოშია დასაქმებული, ბიზნესმენებს საწყის ეტაპზე სულის მოთქმის საშუალება ეძლევათ. შეღავათიანი გადასახადები ხელს უწყობს იაფი საქონლის წარმოებას, ამის შედეგად საქართველოში წარმოებული საქონელი მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიანი ხდება, რაც ხელს უწყობს ქვეყანაში უცხოური ვალუტის დაგროვებას. ბიზნესის გამოცოცხლება და წარმოების ამუშავება ნაწილობრივ მაინც მოხსნის უმუშევრობის პრობლემას. ამდენად, ოფშორული კომპანიების შექმნა ადვილი შესაძლებელია, რომ საქართველოს ბიუჯეტისთვის თავდაპირველად საკმაოდ მძიმე აღმოჩნდეს, სამაგიეროდ, მომავალში ქვეყნის ეკონომიკის აღორძინების გარანტი შეიძლება გახდეს.

## სად შევქმნათ ოფშორული კომპანია?

ოფშორული ზონები მრავალრიცხოვანია და ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავდება, ამიტომ ოფშორული კომპანიის ჩამოყალიბების მსურველმა, ჯობს, სპეციალისტების კონსულტაციით ისარგებლოს. ბოლო წლებში მსოფლიო თანამეგობრობამ გაამკაცრა ოფშორული ზონებისა და კომპანიების მიმართ კონტროლი, რაც „შავი“ ფულის „გარეცხვის“ წინააღმდეგ არის მიმართული. ამის გამო, ვისაც ოფშორული კომპანიის გახსნა სურს, ჯერ დაწვრილებით უნდა გაიგოს, თუ რა პირობებია სხვადასხვა ოფშორულ ზონაში, რათა ზუსტად შეარჩიოს მისთვის სასურველი ტერიტორია.

დავიწყოთ იმით, რომ ყველა ოფშორულ კომპანიას არა აქვს ბანკში ანგარიშის გახსნის უფლება. ამას დავუმატოთ ისიც, რომ ევროპის ქვეყნების უმრავლესობაში შემოღებულია ანტიოფშორული კანონები, რომლებიც ოფშორული კომპანიების მიმართ მკაცრ დისკრიმინაციულ ზომებს ითვალისწინებს.

მაგალითად, ოფშორული კომპანიისთვის ძალიან რთულია გერმანულ ბანკში ანგარიშის გახსნა. გერმანულ ბანკებს არ უყვართ ოფშორი. კომპანიებს, რომლებიც ოფშორებს ხსნიან, უფრო მკაცრად აკონტროლებენ საგადასახადო სამსახურები. საფრანგეთში ყოველწლიური ფინანსური ანგარიშის წარდგენისას, კომპანიებისგან, რომლებსაც ოფშორულ კომპანიებზე ჰქონდათ თანხები გადარიცხული, ითხოვენ იმის დამტკიცებას, რომ ეს თანხები გადასახადების თავიდან აცილების მიზნით კი არ იყო დამალული, არამედ ბიზნესისთვის გამოიყენებოდა.


**ფირმა ინტერ ლეგალი**




ქ. თბილისში შ. დადიანის ქ. №2

ტელ: 98-85-92 , 98-85-93, 98-85-94

ფაქსი: 98-47-70


ფირმა DS Express-ის იურისტების ცნობით, მთელ რიგ ქვეყნებში ყველა გადარიცხვა ოფშორულ ზონებში ავტომატურად იბეგრება, ზოგ შემთხვევაში, გადარიცხული თანხის 30 პროცენტითაც კი.

მიუხედავად ასეთი მკაცრი კონტროლისა, მაინც ხერხდება შეღავათიან საგადასახადო სისტემაში მოხვედრა ოფშორული კომპანიის შექმნის გარეშეც კი. ამისთვის საჭიროა ისეთი ქვეყნის მონახვა, სადაც, ჯერ ერთი, საქართველოზე ნაკლები გადასახადები აქვთ დაწესებული და, მეორეც, ამ ქვეყანას საქართველოსთან დადებული უნდა ჰქონდეს ხელშეკრულება ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების თაობაზე. მაგალითად, ინგლისური კომპანია თუკი კვიპროსზე გააკეთებს რეგისტრაციას, მისი საგადასახადო პროცენტი 42,5-დან 4,25-მდე შემცირდება.

ტრადიციულ ოფშორულ ზონებზე კონტროლის გამკაცრება იწვევს იმ ზონების შესაძლებლობის ზრდას, რომელთა მთავრობებიც ავლენენ ერთგვარ უგულისყურობას ოფშორული კომპანიების დამაარსებლებისა და მესაკუთრეების მიმართ. 90-იან წლებში დაიწყო ოფშორული ზონების აქტიური გაჩენა წყნარი ოკეანის კუნძულებზე. ამგვარი იურისდიქციის ერთ-ერთი წარმომადგენელია მარშალის კუნძულები.

მარშალის კუნძულებზე ანგარიშვალდებულება და მოთხოვნები კომპანიის სტრუქტურის მიმართ მაქსიმალურად გამარტივებულია. არ მოითხოვენ საწესდებო კაპიტალის გადახდას, არ არის შეზღუდვები აქციონერებისა და დირექტორების რაოდენობაზე, მათი ვინაობა არ ფიქსირდება კორპორაციის რეგისტრში, რაც სრულ კონფიდენციალურობას უზრუნველყოფს; არ არის აუცილებელი ფინანსური ანგარიშვალდებულება და აუდიტი, დაშვებულია აქციები წარმომდგენზე. რეესტრში კომპანიის რეგისტრაციის პროცესი რამდენიმე წუთი გრძელდება. ყველა ამ უპირატესობასთან ერთად მარშალის კუნძულები არის დოკუმენტების დამოწმების საერთაშორისო კონფერენციის წევრი. ამიტომ, მარშალის კუნძულების სახელმწიფო ორგანოების მიერ დამოწმებული დოკუმენტები უსიტყვოდ მიიღება კონვენციის წევრ ნებისმიერ ქვეყანაში, მაგალითად, ბანკში ანგარიშის გახსნის დროს. ამასთან, კომპანიის შესაქმნელი და შესანახი თანხები მარშალის კუნძულებზე ყველაზე მინიმალურია.

კიდევ ერთი ნაკლებად ცნობილი ოფშორული იურისდიქციაა მალაიზია, უფრო სწორედ, მასში შემავალი პატარა კუნძული ლაბუანი. 1990-91 წლებში შემუშავებული კანონმდებლობის შესაბამისად, ამ კუნძულზე შეიქმნა საერთაშორისო ფინანსური ცენტრი — პირველ ყოვლისა, ბანკებსა და ფინანსურ კომპანიებზე გათვლილი ოფშორული ზონა. ეს ზონა შეიქმნა, როგორც ჰონგ-კონგისა და სინგაპურის ალტერნატივა და მალაიზიის მთავრობა დიდ იმედებს ამყარებს მასზე: 1997 წელს ჰონგ-კონგი გადადის ჩინეთის იურისდიქციაში. ამიტომ, ფინანსური და სავაჭრო კომპანიების უმრავლესობა, რომლებიც მის ტერიტორიაზე მოქმედებენ, იმავე რეგიონში ახალ ბაზას ეძებენ.

კიდევ ერთი, ნაკლებად ცნობილი ოფშორული ზონაა მადეირა, რომელიც წყნარი ოკეანის აუზში არ მდებარეობს. აქ რეგისტრირებული კომპანიები გადასახადებისგან თავისუფლდებიან 2011 წლამდე. სავაჭრო კომპანიების გარდა, მადეირაზე შესაძლებელია საფინანსო-საინვესტიციო, ჰოლდინგური სადაზღვევო სტრუქტურებისა და, აგრეთვე, ხომალდების რეგისტრირებაც. აქ უპირატესობას მსხვილ ინვესტორს ანიჭებენ. სამაგიეროდ, ისინი სარგებლობენ ევროპის თანამეგობრობის ქვეყნებთან თავისუფალი ვაჭრობის უფლებით.

ოფშორული ზონები მეტად მრავალრიცხოვანია და ისინი ეკონომიკის სხვადასხვა სფეროში არიან სპეციალიზებული. თითოეულ კომპანიას შეუძლია თავისთვის მოსახერხებელი ზონა შეარჩიოს, ოღონდ, ამისთვის საჭიროა სპეციალისტების რჩევით სარგებლობა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ევრო 96

# «ფორცა» ჩეხებო, «არივედერჩი» საკი!

ინგლისში მიმდინარე ფეხბურთელთა ევროპის ჩემპიონატმა ეკვატორი გადალახა და გამოვლინდნენ მეოთხედფინალისტები. ჯგუფებში თამაშები სენსაციით დამთავრდა — ჩემპიონატის ერთ-ერთი ფავორიტი, იტალიის ნაკრები სახლში მიემგზავრება: არიგო საკის მრავალწლიანმა ექსპერიმენტებმა ბოლოს და ბოლოს გამოიღო „შედეგი“ — რასაც გადაურჩნენ იტალიელები ორი წლის წინ ამერიკაში, ამჯერად აღსრულდა. „სკუადრა ადურა“ ჯგუფიდან ვერ გავიდა. საუკეთესო ფორმაში მყოფი მსოფლიო დონის ვარსკვლავების იგნორირება, შემადგენლობის (გამარჯვებულისაც) გაუთავებელი ცვლა, გუნდებში ერთ ადგილზე თამაშს მიჩვეული ფეხბურთელების სხვა ამპლუაში გადაყვანა — ყველაფერ ამაზე ახლა მოსთხოვენ პასუხს საკის. ჩეხებთან სენსაციური წაგების შემდეგ, იტალიელებმა გერმანელებთან ივარგეს და ნულოვან ფრედ დასჯერდნენ. მატჩის დებიუტშივე ზოლამ პენალტი ვერ გამოიყენა და ამის შემდეგ სამხრეთელებს, ფაქტობრივად, აღარ ჰქონიათ რეალური მომენტი — გერმანელებმა აჩვენეს, რომ დაცვაში თამაში შესანიშნავად იციან (გერმანელები ერთადერთნი აღმოჩნდნენ, ვისაც ჯგუფურ ტურნირში გოლი არ გაუშვიათ) და არ მისცეს იტალიელებს თავის გამოჩენის საშუალება. შეხვედრის ბოლო წუთებში საკის თავისი გუნდის იმედი აღარ ჰქონდა, რუსების, რომლებიც ერთი ჩეხებთან თამაშში წინ გავიდნენ, მაგრამ დუშან უგრინის ბიჭებმა ბოლომდე მიიყვანეს დაწყებული საქმე და მეოთხედფინალში გავიდნენ. არადა, ისეთი პირი უჩანდა, ჩეხებს ბოლო წუთებამდე ბრძოლა აღარ უნდა დასჭირვებოდათ — პირველი ტაიმი 5:0 უნდა დამთავრებულიყო, იმდენად დიდი იყო მათი უპირატესობა რუსეთის ნაკრებზე, მაგრამ მხოლოდ ორი გოლი გაიტანეს, ოთხჯერ ძელსაც გაარტყეს და როგორც ვთქვით, მეორე ტაიმში საქმე სახიფათოდ გაიხადეს. რაც შეეხება რუსებს, რომლებიც ჩემპიონატზე ფიფა-ს მსოფლიო რეიტინგით (სადაც ისინი მე-3 ადგილზე იყვნენ) დაიმედებულნი, დიდი ფაფა-ფუხით მიემგზავრებოდნენ: მათ მხოლოდ ორი ტაიმი ითამაშეს მაღალ დონეზე — პირველი იტალიასთან და მეორე ჩეხებთან და 90-იანი წლების ტრადიციის თანახმად, პირველ ეტაპს ვერ გასცდნენ — ასე იყო 1990 წელს იტალიაში, ორი წლის შემდეგ შვედეთში, მერე ამერიკაში და ასე მოხდა ინგლისშიც. რუსების ყველაზე დიდი უბედურება ის არის, რომ მათ იმდენი ილაპარაკეს თავიანთი, საკმაოდ საეჭვო კლასის ფეხბურთელების მაღალ ოსტატობაზე, რომ მე მგონი თვითონვე დაიჯერეს — ონოპკო, ნიკიფოროვი, კარპინი და ძმანი მათნი, მსოფლიო დონის ვარსკვლავები არიან და დიდ გულზეც იყვნენ, მაგრამ პირველივე მატჩებში გამოჩნდა, რომ ესენი საშუალო დონის ფეხბურთელები არიან და მათგან ბევრს არ უნდა ელოდო.



გერმანელები და ჩეხები მეოთხედფინალში შესაბამისად ხორვატიასა და პორტუგალიას შეხვდებიან, რომელთაც ევროპის ჩემპიონები, დანიელები მოიტოვეს უკან.

ხორვატიის ნაკრები ტიტულიანი და განთქმული ოსტატებითაა დაკომპლექტებული, მაგრამ თავიანთი ნამდვილი ძალა ამ ჩემპიონატზე მათ ჯერჯერობით მხოლოდ ერთ ტაიმში აჩვენეს, როდესაც დანიელებს შეხვედრის მეორე ნახევარში მოუთავეს ხელი. თურქებთან და მით უმეტეს, პორტუგალიელებთან ბალკანელები საკმაოდ სუსტად გამოიყურებოდნენ და საეჭვოა, რომ ასეთი თამაშით მათ გერმანიასთან რამეს მიაღწიონ. თუმცა, გასათვალისწინებელია ხორვატთა ნაკრების ამბიციურობა და ფეხბურთელების კოლოსალური გამოცდილება — თუ მიროსლავ ბლაჟევიჩმა მოახერხა და გუნდი საბრძოლველად განაწყო, მაშინ მოსალოდნელია უაღრესად საინტერესო თამაში.



რაც შეეხება პორტუგალიის ნაკრებს — ნიჭიერი, თვითმყოფადი ფეხბურთელების რაოდენობით, ეს გუნდი ალბათ ყველას აღემატება ამ ჩემპიონატზე, მაგრამ აშკარად აკლიათ ორგანიზებულობა, მათ თამაშში თითქმის არა ჩანს არავითარი ტაქტიკური მონახაზი და ყველაფერი თვითდინებაზე, ფეხბურთელთა ინდივიდუალურ ოსტატობაზე არის მიშვებული. ასეთი თამაშით კი ჩამოყალიბებულ, უაღრესად მებრძოლ და ორგანიზებულ ჩეხეთის ნაკრებთან პორტუგალიელებს რაიმე გამოუვიდეთ, მეტად საეჭვოა. არადა, პოტენციურად, კიდევ ერთხელ გავიმეორებ, პორტუგალიელები ერთ-ერთი უძლიერესნი არიან.

სხვა მეოთხედფინალებში ერთმანეთს ხვდებიან ინგლისი-ესპანეთი და საფრანგეთი-ჰოლანდია. „ა“ და „ბ“ ჯგუფებში საბოლოო ჯამში ყველაფერი ისე დამთავრდა, როგორც ვარაუდობდნენ, თუმცა, „ა“ ჯგუფში კინაღამ კიდევ ერთი დიდი სენსაცია მოხდა — ჰოლანდიელებმა, რომლებიც ჩემპიონატის უმთავრეს ფავორიტთა შორის იხსენიებოდნენ, ინგლისთან მატჩის მეორე ტაიმში პანტა-პუნტით იწყეს გოლების გაშვება. პარალელურად შოტლანდიელები, რომლებიც ჩვეულებისამებრ, არც თავს ზოგავდნენ, არც მეტოქეს და არც გულშემატკივართა ნერვებს, შვეიცარიელებს უტევდნენ და ძალზე რეალური ჩანდა, რომ გუნდიდან გაგდებულ ჰოლანდიელ ედგარ დავიდსს მთელი ნაკრები უკან მიჰყვებოდა, მაგრამ ამჯერად, ჰოლანდიელები გადარჩნენ. თუმცა კი, საეჭვოა, რომ გუს ჰიდინკის გუნდმა, რომელშიც ჰოლანდიელთა ძველი ტრადიციისამებრ ერთსულოვნება არ უნდა სუფევდეს, საფრანგეთის მძლავრ, კარგად შეკრულ ნაკრებს წინააღმდეგობა გაუწიოს. ფრანგებმა სამივე თამაში ძლიერად ჩაატარეს, შესანიშნავ ფორმაში იმყოფებიან ზიდანი, ბლანი, ჯორკაეფი, დესაი, კარამბე. გუნდს ეტყობა კარგი მწვრთნელის ხელი და აგერ უკვე 26 თამაში აღარც წაუგიათ. მაგრამ მაინც ვერ გამიგია, რა უნდა გაეფუჭებინა ერიკ კანტონას და რა ტაქტიკურ სქემას ვერ უნდა მორგებოდა იგი — დარწმუნებული ვარ, კანტონა კიდევ უფრო გააძლიერებდა ისედაც ძლიერ გუნდს. ასეა თუ ისე, ჩემი ვარაუდით, ფრანგებმა უნდა დაამარცხონ ჰოლანდიელები, ისევე, როგორც ინგლისელებმა ესპანელები. ესპანეთის ნაკრებიც კარგა ხანია (1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე იტალიასთან 1:2 წაგების შემდეგ) არ დამარცხებულა და ინგლისშიც ჩვეულ, მებრძოლ სულს ავლენს — ხავიერ კლემენტეს გუნდმა სამივე შეხვედრაში მატჩის მიწურულს შესძლო საქმის გამოსწორება და ეს ფეხბურთელთა მტკიცე ნებისყოფაზე და მაღალ პროფესიონალიზმზე მიუთითებს, მაგრამ ესპანელებს აშკარად აკლიათ შთაგონება, აკლიათ მაღალი დონის შემსრულებლები, დაუმატეთ ამას კლემენტეს საშინელი კონსერვატიზმი, დაცვითი სქემებისადმი დიდი მიდრეკილება და მივიღებთ საკმაოდ მაღალი დონის, ჭეშმარიტი პროფესიონალებისგან დაკომპლექტებულ მოსაწყენ გუნდს, რომელიც ჯგუფიდან კი ყოველთვის გავა, მაგრამ დიდ მწვერვალებს ვერასოდეს დაიპყრობს. არადა, ესპანეთში ბოლო ხანებში გამოჩნდნენ ნიჭიერი, არაორდინალური ფეხბურთელები, მაგრამ კლემენტე ეტყობა, შუშხუნა მაჭარს ძველ ღვინოს ამჯობინებს და რაულსა და დელა პენიას ისევ ხულიო სალინასი და დონატო ურჩევნია, მაგრამ იმას ველარ ხვდება, რომ ამ ძველებს, თავიანთ კლუბებში უქმად ყოფნის ჟამს ცოტა არ იყოს ძმრის გემო მიცემიათ. მოკლედ, სავარაუდოა, რომ ესპანელები, მიუხედავად იმისა, რომ უბრძოლველად არაფერს დათმობენ, ვერ შეძლებენ მასპინძლებთან გამკლავებას, რომლებიც დღითიდღე უმატებენ თამაშს. ჰოლანდიასთან შეხვედრაში ინგლისელებმა უკვე მთელი სიკაშკაშით გაიბრწყინეს და ყველას შეახსენეს, რომ ფეხბურთი მათი მოგონილია. ნელ-ნელა გამოჩნდა ტერი ვენეიბლზის მიერ გაწეული მუშაობის შედეგი — ინგლისელები ისე სწორხაზოვნად აღარ თამაშობენ და მათ ტაქტიკურ არსენალში სხვადასხვა სახის ვარიანტები ჩნდება. ეს განსაკუთრებით თვალსაჩინო იყო შოტლანდიელებთან თამაშის მეორე ნახევარში, როდესაც პირსის ნაცვლად მოედანზე რედნეპი გამოვიდა და ტრადიციული 4-4-2 ერთბაშად გარდაიქმნა ვენეიბლზისეულ 3-5-1-1-ად. რაც მთავარია, შესანიშნავ ფორმაში იმყოფებიან ინგლისელთა ლიდერები — სიმენი, ალბათ, ჩემპიონატის საუკეთესო მეკარე, ისევე, როგორც გარი ნევილი — საუკეთესო მარჯვენა მცველი, ძალზე საიმედოა საყრდენი ნახევარმცველი ინსი (თუმცა, ორი გაფრთხილების გამო ესპანელებთან იგი არ ითამაშებს), ალან შირერმა ბოლოს და ბოლოს, ყველას დაუმტკიცა, რომ მარტო პრემიერლიგაში არ გააქვს გოლები, რეაქტიული და ტექნიკური მაკმანამანი ყველასთვის სახიფათოა და რაც მთავარია, გუნდში არის პოლ გასკოინი — ჩემი აზრით, ჯერჯერობით, ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშე. კაცი, რომელსაც მარტოს შეუძლია მატჩის ბედის გადაწყვეტა. ჰოლანდიასთან შეხვედრაში გასკოინმა წარმოუდგენელი მოცულობის სამუშაო შეასრულა — ერთი პერიოდი ვცადე დამეთვალა, თუ თამაშის ამა თუ იმ ეპიზოდში რამდენჯერ იღებდა გაზა ბურთს, მაგრამ ეს შეუძლებელი აღმოჩნდა — ინგლისელთა ათიდან შვიდ პასს ან თვითონ აკეთებდა, ან მისი მისამართით გზავნიდნენ ბურთს.



... ასეა თუ ისე, ევროპის ჩემპიონატზე ჯგუფური ტურნირები დამთავრდა და ყველაზე მთავარი ახლა იწყება. პროგნოზი პროგნოზად დარჩეს, მაგრამ ფეხბურთი ისეთი რამაა, ყველაფრის თავდაყირა დაყენება შეუძლია და ჩვენც დაველოდოთ მეოთხედფინალურ მატჩებს, რომლებიც შაბათ-კვირას გაიმართება და იმედი ვიქონიოთ, რომ დიდი ფეხბურთის მოწმენი გავხდებით.

გიორგი ბერიკაშვილი

პრივატიზაცია

# პრივატიზაცია საქართველოს მომავალი წარმატების საწინდარია

პრივატიზაცია

### ინფორმაცია №16 საბარათო აუქციონის შესახებ

1996 წლის 6 მაისს ჩატარდა № 16 საბარათო აუქციონი, რომელზეც გამოტანილი იყო 30 საწარმოს აქციათა პაკეტები. აუქციონზე შემოსული იყო 4 განაცხადი, შემდეგ სააქციო საზოგადოებებზე:

1. ს/ს „საქკაბელი“ — საწყისი ფასი 234 საპრივატიზაციო ბარათი — 1 განაცხადი.

2. ს/ს „ჭვარის ნავთობპროდუქტი“ — საწყისი ფასი 294 საპრივატიზაციო ბარათი — 1 განაცხადი.

3. ს/ს „ჰანდარი“ — საწყისი ფასი 48 საპრივატიზაციო ბარათი — 1 განაცხადი.

4. ს/ს „კოტეხი“ საწყისი ფასი 49 საპრივატიზაციო ბარათი — 1 განაცხადი.

ყველა განმცხადებელი მონაწილეობას იღებდა, როგორც ფიზიკური პირი.

აუქციონზე გაიყიდა ზემოთ აღნიშნული 4 ს/ს აქციათა პაკეტები.

ბანკში ბე-ს სახით ჩაბარებულია 108 ცალი საპრივატიზაციო ბარათი.

1. ს/ს „საქკაბელი“ — 24 საპრივატიზაციო ბარათი;

2. ს/ს „ჭვარის ნავთობპროდუქტი“ — 30 საპრივატიზაციო ბარათი;

3. ს/ს „ჰანდარი“ — 5 საპრივატიზაციო ბარათი;

4. ს/ს „კოტეხი“ — 49 საპრივატიზაციო ბარათი.

სულ აუქციონის შედეგების თანახმად სავადამხდელო საშუალებად უნდა შემოვიდეს 625 ცალი საპრივატიზაციო ბარათი.

### ინფორმაცია № 17 საბარათო აუქციონის შესახებ

1996 წლის 8 მაისს ჩატარდა № 17 საბარათო აუქციონი, რომელზეც გამოტანილი იყო 30 საწარმოს აქციათა პაკეტები. აუქციონზე შემოსული იყო 1 განაცხადი, შემდეგ სააქციო საზოგადოებაზე:

— ს/ს „ჰიპნაური“ — საწყისი ფასი 181 საპრივატიზაციო ბარათი — 1 განაცხადი.

განმცხადებელი მონაწილეობას იღებდა, როგორც ფიზიკური პირი.

აუქციონზე გაიყიდა ზემოთ აღნიშნული ს/ს აქციათა პაკეტი.

ბანკში ბე-ს სახით ჩაბარებულია 19 ცალი საპრივატიზაციო ბარათი.

— ს/ს „ჰიპნაური“ — 19 საპრივატიზაციო ბარათი;

სულ აუქციონის შედეგების თანახმად სავადამხდელო საშუალებად უნდა შემოვიდეს 181 ცალი საპრივატიზაციო ბარათი.

### ინფორმაცია № 18 საბარათო აუქციონის შესახებ

1996 წლის 10 მაისს ჩატარდა №18 საბარათო აუქციონი, რომელზეც გამოტანილი იყო 33 საწარმოს აქციათა პაკეტები. აუქციონზე შემოსული იყო 2 განაცხადი, შემდეგ სააქციო საზოგადოებებზე:

1. ს/ს „გურჯაანის ნავთობპროდუქტი“ — საწყისი ფასი 52 საპრივატიზაციო ბარათი — 1 განაცხადი;

2. ს/ს „აკურა“ — საწყისი ფასი 67 საპრივატიზაციო ბარათი.

ორივე განმცხადებელი მონაწილეობას იღებდა, როგორც ფიზიკური პირი.

აუქციონზე გაიყიდა ზემოთ აღნიშნული 2 ს/ს აქციათა პაკეტები.

ბანკში ბე-ს სახით ჩაბარებულია 13 ცალი საპრივატიზაციო ბარათი.

1. ს/ს „გურჯაანის ნავთობპროდუქტი“ — 6 საპრივატიზაციო ბარათი;

2. ს/ს „აკურა“-7 საპრივატიზაციო ბარათი.

სულ აუქციონის შედეგების თანახმად სავადამხდელო საშუალებად უნდა შემოვიდეს 119 ცალი საპრივატიზაციო ბარათი.

### ინფორმაცია № 19 საბარათო აუქციონის შესახებ

1996 წლის 13 მაისს ჩატარდა №19 საბარათო აუქციონი, რომელზეც გამოტანილი იყო 33 საწარმოს აქციათა პაკეტები. აუქციონზე შემოსული იყო 2 განაცხადი, შემდეგ სააქციო საზოგადოებებზე:

1. ს/ს „საქართველო“ — საწყისი ფასი 126 საპრივატიზაციო ბარათი — 1 განაცხადი;

2. ს/ს „ხორცკომბინატი“ — საწყისი ფასი 120 საპრივატიზაციო ბარათი.

ორივე განმცხადებელი მონაწილეობას იღებდა, როგორც ფიზიკური პირი.

აუქციონზე გაიყიდა ზემოთ აღნიშნული 2 ს/ს აქციათა პაკეტები.

ბანკში ბე-ს სახით ჩაბარებულია 25 ცალი საპრივატიზაციო ბარათი.

1. ს/ს „საქართველო“ — 13 საპრივატიზაციო ბარათი;

2. ს/ს „ხორცკომბინატი“-12 საპრივატიზაციო ბარათი.

სულ აუქციონის შედეგების თანახმად სავადამხდელო საშუალებად უნდა შემოვიდეს 246 ცალი საპრივატიზაციო ბარათი.

### ინფორმაცია № 20 საბარათო აუქციონის შესახებ

1996 წლის 15 მაისს ჩატარდა № 20 საბარათო აუქციონი, რომელზეც გამოტანილი იყო 33 საწარმოს აქციათა პაკეტები. აუქციონზე შემოსული იყო 1 განაცხადი, შემდეგ სააქციო საზოგადოებაზე:

— ს/ს „ხობის ნავთობპროდუქტი“ — საწყისი ფასი 54 საპრივატიზაციო ბარათი — 1 განაცხადი.

განმცხადებელი მონაწილეობას იღებდა, როგორც ფიზიკური პირი.

აუქციონზე გაიყიდა ზემოთ აღნიშნული ს/ს აქციათა პაკეტი.

ბანკში ბე-ს სახით ჩაბარებულია 6 ცალი საპრივატიზაციო ბარათი.

— ს/ს „ხობის ნავთობპროდუქტი“- 6 საპრივატიზაციო ბარათი;

სულ აუქციონის შედეგების თანახმად სავადამხდელო საშუალებად უნდა შემოვიდეს 54 ცალი საპრივატიზაციო ბარათი.

რესპუბლიკური ცენტრი



Germania

ავიაკომპანია „გერმანია“ და ა/ს „ტრანს აირ გლობი“
ყოველ ხუთშაბათს 6,00 სთ. ასრულებს რეისს

თბილისი-კიოლნი-თბილისი

იფრინეთ გერმანიის „ბოინგით“

ცნობებისთვის მოგვმართეთ:
ჭავჭავაძის პრ. 80 ტურიზმის სახელმწიფო დეპარტამენტი
ტ. 29-40-64 23-54-81.

„ტრანს აირ გლობი“



მსოფლიოს ყველაზე ლამაზი ქვეყანა — იტალია.
განუმეორებელი ვენეცია, რომი, სან-მარინო.
პირდაპირი რეისი თბილისი-იტალია.
არაჩვეულებრივი საცხოვრებელი პირობები, საუკეთესო სასტუმროები.
ამ ზღაპრულ სამყაროს ნახავთ, თუ იმოგზაურებთ კოკა-კოლა ტურის მეშვეობით.
იტალიაშიც კოკა-კოლა ტურის წარმომადგენლობა გიმასპინძლებთ.
ნუ იოცნებებთ, პირდაპირ დარეკეთ: 29 48 27
ი.ჭავჭავაძის გამზირი 10.
მსოფლიო კოკა-კოლას სვამს.
მსოფლიოს კი „კოკა-კოლა ტური“ განახებთ.


## ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს 1996-97 სასწავლო წელს აბიტურიენტთა მიღებას დღის სწავლების შემდეგ სპეციალობებზე:

1. ფერწერა
2. გრაფიკა
3. ქანდაკება
4. დეკორატიული ქსოვილები (გობელენი, ფარდაგი, თექა, ბატიკა)
5. ტანსაცმლის მხატვრული მოდელირება
6. ეთნოგრაფიული ხელოვნების ნიმუშების აღდგენა
7. კინომცოდნეობა
8. ტელერეჟისურა
9. კინო-ტელე სასცენარო

მისაღებ გამოცდებზე დაიშვებიან საშუალო და საშუალო სპეციალური განათლების, აგრეთვე უმაღლესი განათლების მქონე პირები. სწავლების პერიოდში სტუდენტები გაივლიან სამხედრო მომზადებას. სწავლება ფასიანია. გარდა ფასიანი სწავლებისა, თითოეულ სპეციალობაზე დაშვებულია უფასო სწავლების 2 ადგილი იმ აბიტურიენტებისთვის, რომლებიც კონკურსში განსაკუთრებით გამოიჩენენ თავს.

### მისაღები გამოცდები ჩატარდება შემდეგ საგნებში:

1. მშობლიური ენა და ლიტერატურა (წერა)
2. საქართველოს ისტორია (ზეპირი)
3. სპეციალობა

აბიტურიენტებმა განცხადება უნდა შეიტანონ უნივერსიტეტის რექტორის სახელზე და თან დაურთონ შემდეგი საბუთები:

1. საშუალო ან საშუალო სპეც.განათლების დოკუმენტი (დედანი)
2. სამედიცინო ცნობა (ფორმა 086)
3. 6 ფოტოსურათი (ზომა 3X4)
4. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან

პასპორტს და სამხედრო დოკუმენტს აბიტურიენტი წარმოადგენს პირადად. მისაღებ გამოცდებში მონაწილეობისთვის აბიტურიენტი წინასწარ გადაიხდის თანხას. საბუთები მიიღება 1996 წლის 1 ივლისიდან 19 ივლისამდე ყოველდღე, 10-დან 16 საათამდე, კვირის გარდა.

### მისაღები გამოცდები ჩატარდება 1996 წლის 20 ივლისიდან.

მისამართი: თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი 14, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის IV კორპუსი, III სართული, ოთახი 12, ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ პროფესიათა ფაკულტეტის დეკანატი.

ტელეფონი: 29-08-47.


გაიხსენეთ
რესტორანი „მარაბდა“


## კროსვორდი

შვეულად: 2. მდინარე ევროპაში; 3. კათოლიკური და ზოგი მართლმადიდებელი ეკლესიის გაერთიანების კავშირის მიმდევრები; 4. ნ.დუმბაძის ნაწარმოების გმირი; 5. მრავალწლოვანი ხარევლა ბალახი, აქვს მუხლუხა ღეროები; 6. გაუვალი, უღრანი, უდაბური; 7. ძალადაკარგული რამ; 9. სატანვარჯიშო იარაღი; 10. ხელოვნური საერთაშორისო ენა; 11. შეუგნებელი ლტოლვა რაიმესაკენ; 13. ტილოს ფარდული მზისა და წვიმისგან დასაცავად; 14. ფიგურა, რომელიც წარმოიქმნება დახშული მრუდი ხაზებით; 18. ადამიანის ინტელექტი, ჭკუა; 19. გამომწვარი ფერადი თიხა, აქვს მოწითალო მოყავისფრო ფერი; 20. უჭკუო, მოუსაზრებელი; 22. შეძახილებით აღტაცების გამოხატვა; 24. პატარა ბავშვის საწოლი; 26. საზომი ხელსაწყოს ერთ-ერთი დეტალი; 27. ეკლიანი მაღალი ხვიარა ბუჩქი, რომლის ნორჩ ყლორტებს მხალად ხმარობენ.

თარაზულად: 1. მარქსიზმ-ლენინიზმისადმი მტრულად განწყობილი მიმდინარეობა, რომელიც უარს ამბობდა ბრძოლაზე რევოლუციური საშუალებებით; 7. ტვირთი აეროსტატის ჰაერში ასვლის მოსაწესრიგებლად; 8. განათლების მეცნიერებისა და კულტურის საერთაშორისო ორგანიზაცია; 10. რიტორიკული ხერხი — ერთი და იმავე სიტყვის ან გამოთქმის გამეორება; 12. მდინარე ევროპაში; 13. საკონტროლო დაფა, რომელზედაც მოთავსებულია სხვადასხვაგვარი სასიგნალო მოწყობილობა; 15. ადვილი; 16. ციტრუსების ჯგუფის ტანდაბალი ხე ან ბუჩქი აქვს მსხვილი ხორციანი ლიმონისებრი ნაყოფი; 17. ქიმიური ელემენტი, იშვიათი ლითონი თეთრი ფერისა; 21. პატარა მდორე მდინარე, გუბე, ტბორი; 23. ბალახისმჭამელი გარეული ცხოველი; 24. ფოსტალიონის ჩანთა; 25. ადამიანი, რომელიც მოკლებულია საზოგადოებრივ თვალთახედვას, ცხოვრობს პირადი ინტერესებით; 28. ერთმანეთში შეგროვილი ფულით პურის ჭამა; 29. გაერთიანება, კავშირი; 30. რისამე ანაზღაურების დადგენა.



### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

შვეულად: 1. გნომი; 2. იახსარი; 3. იაგუნდი; 4. იახტა; 5. რენტა; 7. ალოდი; 9. ბესტსელერი; 10. ზუავი; 12. დაუნი; 13. იმპიჩმენტი; 15. ნოინი; 16. რიელი; 18. მეტანია; 19. ეტილი; 21. ირანი; 22. ემისარი; 23. დეიმოსი; 24. ალკალდი; 25. იკა; 27. იძუ; 31. ტრაქტორი; 32. ალჟირი; 34. ატლასი; 35. საბოტაჟი; 40. ანოდი; 41. ყრანი; 44. ელადა; 46. ხაიფა.

თარაზულად: 1. გლინტვაინი; 5. რანჩო; 6. ხუნტა; 8. სებუკუ; 9. ბენზოლი; 11. ამიდოლი; 14. ინგრი; 17. იმპულსი; 20. ემპირეა; 23. დიქცია; 25. ინა; 26. სეი; 28. ილი; 29. კაი; 30. იტალია; 33. მანილა; 34. არგუსი; 36. ალეპო; 37. ლისტი; 38. ქარტია; 39. იასაყი; 42. კაზინო; 43. ილებო; 45. არხლი; 47. ინდიანა; 48. იელი; 49. იმამატი; 50. აპელაცია.


რედაქტორ-გამომცემლები
ვასილ მაღლაფერიძე და პაატა ვეშაპიძე
გენერალური დირექტორი ვახტანგ სალია
პასუხისმგებელი რედაქტორი ზაზა ტალახაძე,
პასუხისმგებელი მდივანი დავით ნინიკაშვილი
მორიგე რედაქტორი მაია ტორაძე
რედაქციის მისამართი: თბილისი, პეტრიაშვილის №7.
ტელეფონი: 29-48-05; ფაქსი: 23-52-12.